ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №18 (1648) | 18-20 მარტი, 1998 წ. | ფასი 50 თეთრი



მე საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანის წინააღმდეგი ვიყავი

მეორე გვერდი

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა“, ანუ მერწმუნეთ, აჭარა ჩვენს თვალწინ ჩაიძირება

ინტერვიუ გურამ შარაძესთან

მესუთე გვერდი

სენსაცია! მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ, ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

რუსოფილობაც ისეთივე სენია, როგორც სტალინისტობა



მესამე გვერდი

გადასახადები საქართველოში

მესამე გვერდი

„გაათრიეთ უფულო მკვდარი“ ანუ რა მოგვიტანა ჯანდაცვის რეფორმამ

მეთერთმეტე გვერდი

მსხვილი ლა ცხოვრება

მეათე გვერდი



კრიმინალური ქრონიკა

მეექვსე გვერდი

მშვიდობიანი გზით აფხაზეთის დაბრუნების იმედი არ გვაქვს

მეოთხე გვერდი

სპორტი



მეშვიდე გვერდი

თენგიზ სიგუა: მე საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანის წინააღმდეგი ვიყავი



/გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზ. „საქართველო“ № 17/

— დღეს ყველა ის „ვიოლიონები“ რომლებიც პირველნი აჟღერდნენ შევარდნაძის ჩამოყვანაზე, საიმედოდ არიან ჩაკეტილნი. თქვენ ამ დროს დიდი თანამდებობა გეკავათ, შედიოდით იმ სამეულში, რომელიც სამხედრო საბჭოს განაგებდა და თქვენ ხომ არ შემოგინახავთ მთავრობამ ბოლო ლუკმად, რომელსაც ტკბილად შეგატანთ 1991-92 წლების მოვლენების შეფასების შემდეგ?

— არა, ამას ვერ ვიტყვი, (იცინის) ჩემი გადადგომის პირველი დღიდანვე დავალება მიეცა შესაბამის ორგანოებს, რომ ორ თვეში კომპრომატი დაედოთ ჩემთვის, ორი თვე კი არა 4 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ვერაფერი ვერ გამომიქექეს. ბოლოს კი თავი მოიჭრეს და სასაცილო ბრალდება წამომიყენეს. თითქოსდა როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რატომ არ გადავედით რუსული ფულის კურსზე და რატომ გამოვეცით დადგენილება არსებული საგალუტო (საბჭოთა) კურსის შენარჩუნებაზეო. ამით ბიუჯეტმა იზარალაო, რომლის სამართლიანობაც შემდეგ თვითონვე აღიარეს. 4200 ნორმატიული აქტიდან მეტი ვერაფერი გამომინახეს, ხოლო თუ ბიუჯეტმა იზარალა, ამის თაობაზე ფინანსთა მინისტრმა უნდა დააყენოს საკითხი, ფინანსთა მინისტრი კი აღნიშნავს, რომ აღნიშნული დადგენილება არ წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ნორმატიულ აქტს, მიხეილ სააკაშვილი კი გვწერს, რომ რუსეთის ნორმატიული აქტების საქართველოში გამოყენება იქნებოდა საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევაო.

ეს საერთაშორისო წესია, როდესაც ფედერაცია იშლება სანამ ახალი კანონმდებლობა არ მიიღება, ძალაში რჩება მოქმედი კანონმდებლობა. ასე რომ, მე პირველივე დღიდანვე მდევნიდნენ, მაგრამ თავი შეირცხვინეს. მე კი დღესაც ბრალს ვდებ პროკურატურას პოლიტიკურ სიბეცეში, რადგან მათ „შემითითხნეს“ ეს საქმე და შელახეს საქართველოს სუვერენიტეტი თავისი ბრიყვული გადაწყვეტილებით. დადგება დრო და მოვთხოვ პროკურატურას პასუხს. ყოველივე, რაც მოხდა ეს იყო ჩემს წინააღმდეგ მიმართული ფანდი ხალხის მოსატყუებლად, აი რა ქნა სიგუამო. უფრო მეტიც, ვაკის რაიონის სასამართლოს საერთოდ არ ჰქონდა უფლება განეხილა მთავრობის დადგენილება. მაგრამ ეს იყო შეკვეთა კომუნისტური მეთოდების გამოყენებით.

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბოლო დროს გახშირდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მზადდება ტერორისტული აქტი პრეზიდენტის წინააღმდეგ. ამას არც ძალოვანები მალავენ და არც პარლამენტარები. საკმარისია დაისვას ეს საკითხი და ყველა საკუთარ ვერსიას გაგვაცნობს. საიდან შეიძლება ამ ხალხს ჰქონდეს ეს ინფორმაცია, თუ თავდასხმის სათავე თვით საქართველოში უნდა ვეძიოთ?

— მე მინდა გითხრათ, არის დიდი ეჭვი იმისა, რომ ბატონი შევარდნაძე შეიძლება არ ჩავიდეს მოსკოვში 19 მარტის დსთ-ის სამიტზე. და შესაძლებელია ამას მოტივად სწორედ ტერაქტის საშიშროება იყო, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სახელმწიფოში, სადაც ასეთი დონის შეხვედრები ტარდება, ჩამსვლელთა უსაფრთხოება გარანტირებულია. შევარდნაძის იქ ჩაუსვლელობა კი იქნებ იმის დადასტურებაა, რომ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს ეშინია მოსკოვში ჩასვლა. რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან, კიდევ მინდა გავიმეორო, მე გამოვრიცხავ მოსკოვში ტერაქტის განხორციელების შესაძლებლობას, რადგან მე ვიცი რა დაცვის პირობებია და ალბათ რუსეთის ხელისუფლება დამატებითი ღონისძიებებს გაატარებს მეთაურების დაცვის თვალსაზრისით.

რაც შეეხება 9 თებერვლის ტერორისტულ აქტზე ინფორმაციას, იგი მიღებული იყო უშუალოდ რუსეთის შს მინისტრიდან, გენერალ კულიკოვისაგან. იგი აწვდიდა ინფორმაციას როგორც საქართველოს პრეზიდენტს, ისე კახა თარგამაძესაც. ამას ჩვენი ძალოვანები არც მალავენ, მაგრამ ამბობენ, რომ ზუსტი ინფორმაცია ამის შესახებ არ გაგვაჩნდაო და მეც ამაში ვარ დარწმუნებული, მაგრამ როდესაც ასეთ ინფორმაციას გაწვდიან, მაშინ გაათმაგებული დაცვის ღონისძიებები უნდა იყოს მიღებული. ის რაც 9 თებერვალს მოხდა, გაუგებარ სიტუაციაში გვაგდებს. მით უმეტს, რომ ეს არ იყო ტერაქტი, არამედ მინი საბრძოლო ოპერაცია, რომელსაც კარგად გაწვრთნილი სპეციალისტები აწარმოებდნენ. წვრთნას კი ჩეჩნეთში და ყაბარდო ბალკანეთში გადიოდნენ. კულიკოვს კი ეს ინფორმაცია აქაური აგენტურიდან ჰქონდა ალბათ მიღებული.

— ბატონო თენგიზ, რუსული მასმედია აქტიურად ცდილობს დაასაბუთოს ის, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს არავითარი „წვლილი“ არ მიუძღვით 9 თებერვლის ტერორისტულ აქტში და ხშირად ცდილობს „ისარი“ ვაშინგტონისაკენ გადახაროს.

— ის, რასაც რუსული პრესა და მას-მედია ცდილობს, აბსოლუტურად აბსურდულია. დასავლეთმა ძალიან დიდი კაპიტალი უნდა ჩადოს ამიერკავკასიაში. სწორედ თუ ჩვენ გამოვყოფთ მარტო ნავობსადენსა პროექტის განხორციელებას, ეს მრავალ მილიარდიან კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს. ამიტომ გამორიცხულია, რომ დასავლეთს აინტერესებდეს კავკასიაში დესტაბილიციის გამოწვევა, პირიქით მას უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ამ ნავთობსადენს ვინმე ერთ დღეს „ურდულით“ არ ჩაკეტავს.

იბადება კითხვა: ვის ხელშია კასპისპირა სახელმწიფოების სიმდიდრე? — დასავლეთის.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა“ ანუ მერწმუნეთ, აჭარა ჩვენს თვალწინ ჩაიძირება...

ინტერვიუ გურამ შარაძესთან

16 მარტს, პარლამენტის სხდომაზე, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა გურამ შარაძემ, საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. ეს საკითხი უფრო მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ვიდრე ედუარდ სურმანიძის ვიცე-სპიკერად „ყოფნა-არყოფნის“ და აჭარაში შსს-ს ქვედანაყოფის შესვლა-არშესვლის საკითხი, მაგრამ პარლამენტს „სკამის“ გაყოფის პროცედურა უფრო აინტერესებდა, ვიდრე საქართველოში პროთურქული ორიენტაციის მომძლავრება. ამიტომაც ბატონი გურამის მიერ დაყენებულ საკითხს ნაკლები ყურადღება დაეთმო. იმისათვის, რომ უფრო ვრცლად მიგვეწოდებინა ინფორმაცია მკითხველისათვის თუ რა იგულისხმება პროთურქული ორიენტაციის გაძლიერებაში, თხოვნით მივმართეთ ბატონ გურამს ესაუბრა ჩვენთან

— ბატონო გურამ, პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე თქვენ ახსენეთ გვარი რაფაედდინ შაპინი (ლორთქიფანიძე), იქნებ გვიპასუხოთ, რა აწუხებს (ან რა არ აწუხებს) ბატონ ლორთქიფანიძეს?

— გავეცანი საქართველო-თურქეთის სამთავრობო ხელშეკრულებას, რომლის ორი პუნქტი მე მიმაჩნია ნაღმად საქართველოსათვის. 1) თურქეთ-საქართველოს მთავრობები განაგრძობენ ურთიერთკონსულტაციებს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული „თურქ-მესხების“ უკან დაბრუნების თაობაზე, 2) ეს არის ის, რომ მთავრობები შეთანხმდნენ მდინარე „ჭოროხზე“ კაშალის აშენებაზე და, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მადლიერების გრძნობით მიიღო თურქეთის პრეზიდენტის მიწვევა დაესწროს კაშხალის მშენებლობის გახსნის ცერემონიალს.

„შენი რაა, რომ აშენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა“

პირველი საკითხის დღის წესრიგში დაყენების თავიდათავი არის რაფაედდინ შაპინი (ლორთქიფანიძე). იგი ქართველი კაცია, დიდი ხანია ვიცნობ. ადრე თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო. ჩილლერის მთავრობაში მოსვლა ლორთქიფანიძის დამსახურებაა. დღესაც მასზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. მას იმ დონეზე სცემენ პატივს, რომ როდესაც მე და ბ-ნი რეზო ჩხეიძე ვიყავით ანკარაში სტუმრად, ჩვენდა გასაოცრად ლორთქიფანიძე ათათურქს საგარაკო რეზიდენციაში დაგვპატიჟებდა. ჩვენ როგორც ქართველებს რა თქმა უნდა, გვესიამოვნა ის პატივისცემა, რითაც მის მიმართ არიან გამსჭვალულნი თურქები. ბ-ნი ლორთქიფანიძის მიმართ დიდი სიმპათიით განვწყობილ ვიყავ.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იგი ძალიან არის დაინტერესებული უზბეკეთიდან გამოდევნილი ე. წ. თურქ-მესხების საქართველოში დაბრუნებით. იგი ყველაფერს აკეთებს დაწყებული მორალური მხარდაჭერით და დასრულებული დიდი ფინანსური დახმარებით. ეს კი, ძალიან საშიში ტენდენციაა.

— უკაცრავად, თქვენ ახსენეთ „დაინტერესება“, საიდან მოდის იგი?

— ლორთქიფანიძე თურქული ორიენტაციის ქართველი კაცია, ისევე როგორც, საქართველოში ბევრია რუსული ორიენტაციის ქართველი. ის იდეა, რაც ლორთქიფანიძეს ამოძრავებს, არახალია.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-21) იყო ასეთი პროვინცია სერგო ათაბაგ-ჯაყელი, უკანასკნელი მოჰიკანი დიდი ჯაყელებისა, რომელსაც სურდა, რომ შეექმნა სამცხე-ჯავახეთის და აჭარის ჩათრევით ყარსის რესპუბლიკა ე. ი. მუსულმანი ქართველების გაერთიანების ხარჯზე შეექმნა თურქული ორიენტაციის ავტონომია, სახელიც დაარქვა: ყარსის რესპუბლიკა — დედაქალაქით — ყარსი. ამით სურდა კორიდორის შექმნა არა მარტო თურქეთისაკენ, არამედ, ამიერკავკასიისაკენ ე. ი. აზერბაიჯანიკასპია, სამცხე-ჯავახეთისაკენ, აჭარა. მთელი ეს რეგიონი ყოფილიყო მუსულმანური, რათა რუსეთს ფეხი ვერ მოეკიდებინა საქართველოში.

მე არც რუსოფილი ვარ და არც თურქოფილი, ჩრდილოელი მეზობლის ორასწლიანმა ბატონობამ და მასთან წრეგადასულმა მეგობრობამ რა შედეგიც მოგვცა, კი ვხედავთ. 400 წლიანმა თურქეთის მონობის უღელმა რა დღეც დაგვყარა ისიც ვიცით. რუსთაველის მთაწმინდელების, ბაგრატიონების სამშობლო დღეს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეა და იქ, ჩვენზე მეტად ქართველები ცხოვრობენ. ისინი ჩვენზე უკეთ მოქართულე და უფრო სუფთა გენეტიკის ქართველები არიან.

ერთი მინდა გითხრათ, რაც ადრე არ მითქვამს, აფხაზეთის ომის დროს თურქეთში მცხოვრები ქართველები ცრემლმორეული და დაბოღმილი მეუბნებოდნენ: „რატომ არ გვეძახით, აქ ჩამოდის არძინება, მოყავს აფხაზები ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენ კი, არ გვთვლით ქართველებად, არ გვთხოვთ დახმარებას.“ აქედან ჩანს, მართლაც როგორი ქართველები ცხოვრობენ იქ. მე მუსულმანობითა და ქრისტიანობით ქართველებს არ ვყოფ. მე ილია ჭავჭავაძის მიმდევარი ვარ: „ენა, მამული და ჩვენი ისტორიაა მთავარი.

ამ პერიოდში, ისე როგორც საქართველოში, რუსული ორიენტაციის ქართველები ჩრდილოეთისაკენ იქაჩებიან და ქვეყანა ჩრდილოეთის უფსკრულში უნდათ გადაჩეხონ, ასევე თურქული ორიენტაციის ქართველები, საქართველოში არიან თუ თურქეთში, ამას მნიშვნელობა არა აქვს, თურქულ უფსკრულში გვექაჩენ. ... ოქვამს და კიდევ ვიმეორებ, ოღონ საქართველო არის დამოუკიდებელი, უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყანა. ქართველები ცხოვრობენ თავიანთ მიწა-წყალზე და გვაქვს უფლება ამ პლანეტის მცირე კუნჭულზე ვიცხოვროთ. ვინც ამ ქვეყანას გადაჩეხავს სამხრეთულ თუ ჩრდილოურ უფსკრულში, მე, ყველას წინააღმდეგი ვარ.



„მერწმუნეთ, აჭარა ჩვენს თვალწინ ჩაიძირება...“

— რაც შეეხება მეორე საკითხს, ჭოროხის წყალსაცავის მშენებლობას, მინდა ვთქვა, რომ სამთავრობო ხელშეკრულება ცინიკურია. როცა ჭოროხზე აშენდება კაშხალი, იგი შეწყვეტს ზღვაში მინერალებისა, კირის და სხვა ქვაღორღის ჩატანას. ამით სანაპირო დამცავი ზოლი აღარ იარსებებს და სულ ცოტა ხანში წყლის ქვეშ მოექცევა უზარმაზარი ტერიტორია.

ზღვას ხუთი მილიონი დოლარი შეაჩერებს? ამდენად გვაბრიყვებენ. ავიღოთ ფოთის მაგალითი. ჩვენ ვიყავით პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით ფოთში და ვნახეთ, რომ სტადიონი, სადაც პირველად ფეხბურთი ითამაშეს საქართველოში, ჩვენი ლეგენდარული ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის სახლკარი წყალქვეშაა მოქცეული. სულ ერთი ადამიანის სიცოცხლე ეყო, რომ ზღვას დაეფარა ამხელა ტერიტორია. საქართველომ ხომ მილიონ წლები უნდა იარსებობს?! თუ ვინმეს ეს არ სურს, ეს, იმათი პრობლემაა.

დემირელის მიწვევით ჩაბრძანდება ჩვენი პრეზიდენტი თურქეთში და ერთად დაუყურავენ ტაშს საქართველოს დალუბვას. პრეზიდენტის თურქეთში წასვლა ხუთ ხელშეკრულებაზე უფრო მტკიცეა, ამიტომ, უშიშროების საბჭომ და პარლამენტმა პრეზიდენტის სამიტზე წასვლა-არწასვლაზე არანაკლებ უნდა იფიქროს შევარდნაძის თურქეთში ვიზიტზე. მერწმუნეთ, აჭარა ჩაიძირება. ამას არ დასჭირდება საუკუნეები. მას ჩვენ თვალწინ დაფარავს წყალი.

P.S. ბატონი გურამის კაბინეტის დატოვების შემდეგ შევიტყვე მისი დიდი მწუხარების შესახებ. ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო მას რედაქციის სახელით გულისხმიერებისათვის და გავიზიარო მისი მწუხარება.

ანა ჯულელი

ნაციონალისტთა პარტია სახელმწიფო კანცელარიის წინააღმდეგ

17 მარტს, დღის 12 საათზე, მთაწმინდის რაიონის სასამართლოში სარჩელი აღძრა ნაციონალისტთა პარტიამ სახელმწიფო კანცელარიის წინააღმდეგ. მოსამართლე თალაკვაძემ მოპასუხე მხარეებს მოუწოდა მოლაპარაკების გზით შეთანხმებამდე მისულიყვნენ.

ნაციონალისტთა პარტიის თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ განაცხადა: თუ სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენლები პრესისა და ტელევიზიის წინაშე ბოდიშს მოუხდიან შეურაცხყოფისათვის, საქმეს დახურავენ. მოპასუხე მხარემ 10 დღე მოითხოვა საქმის გასაცნობად.

სასამართლო გადაიდო 27 მარტამდე.

ნინო კაპანაძე

თვითმკვლელობა თავდაცვის სამინისტროში!

16 მარტს დილის 10 საათსა და 20 წუთზე თავდაცვის სამინისტროში ოპერატიული გაყოფილების მორიგის თანაშემწემ 42 წლის გრიშა ამირშაკოვმა სამეურნეო ოთახში ტაბელური იარაღით თავი მოიკლა. საქმეს იძიებს თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის გამომძიებელი გოჩა სხირტლაძე.

გრიშა ამირშაკოვი თავდაცვის სამინისტროში 1994 წლიდან მუშაობდა. მის უშუალო მოვალეობაში სათანადო ოპერატიული ინფორმაციების მიღებაგაცემა შედიოდა. ექსპერტ თემურ ხელაძის მონაცემებით, გაკვეთის შემდეგ გვამს აღმოაჩნდა თავის ქალის გამჭოლი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა, ძვლების და თავის ტვინის დაზიანება.

როგორც გოჩა სხირტლაძემ გვითხრა, გრიშა ამირშაკოვის მეულლეს, ელენე ჭაფანაძეს უთქვამს, რომ მისი მეულლე თითქმის ყოველდღე ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და გაუთავებელი კონფლიქტები ჰქონდა ოჯახში. ანალოგიური კონფლიქტი წინა დღესაც ჰქონია სახლში. კონფლიქტის დროს ხშირად იმუქრებოდა, რომ თავს მოიკლავდა. საბედისწერო დღეს, დაახლოებით 10 საათსა და 10 წუთზე სახლში დაურეკავს და უთქვამს, რომ იგი რამოდენიმე წუთში თავის მოკვლას აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ ელენე ჭაფანაძეს მეუღლისაგან ამგვარი გაფრთხილება არაერთგზის ჰქონდა, უსაფრთხოების მიზნით მას მაინც დაურეკავს თავდაცვის სამინისტროში პოლკოვნიკ ბენიძესათვის და უთქვამს, რომ მისი მეუღლე აღელვებული წავიდა სახლიდან და იარაღი არ მიეცათ. სამწუხაროდ, ბენიძეს თვითმკვლელობის ინფორმაცია უკვე ჰქონდა, მაგრამ დაღუპულის მეუღლისთვის არ გაუმხელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ გრიშა ამირშაკოვი ერთი თვის განმავლობაში შვებულებაში იმყოფებოდა და 16 მარტს შვებულების შემდეგ მისი პირველი სამუშაო დღე იყო. იყო თუ არა აღნიშნულ დღეს გ. ამირშაკოვი ნასვამ მდგომარეობაში, ექსპერტიზას პარასკევს ეცოდინება.

თეა მიძანაძე

გადასახადები საქართველოში

ნებისმიერი სახელმწიფო, გამოხატავს რა საზოგადოების ინტერესებს, აწარმოებს ეკონომიურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სხვა მიზანშიმართულ პოლიტიკას. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ცნობილმა მეცნიერმა და ეკონომისტმა ადამ სმიტმა თავის კლასიკურ ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის მიზეზებსა და ბუნების შესახებ" ასე გამოხატა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები:

– ეროვნული თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა;

– მართლმსაჯულების განხორციელება;

– იმ საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება, რომლებიც არ არიან მომგებიანი კერძო მეწარმეთა აზრით, მაგრამ მათი ჩატარება ქვეყნის მოსახლეობისათვის აუცილებელია;

– ახალგაზრდობის განათლება;

– გადასახადების შეგროვება სახელმწიფოებრივ საჭიროებათა დასაფინანსებლად.

რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხებს ვერცერთი ძლიერი მეწარმე ცალკე ვერ გადაწყვეტდა. საჭირო იყო რაღაც საერთო თანხები და საშუალებები, რათა ეს პრობლემები მოგვარებულიყო. გადასახადები ჯერ კიდევ ადრეული ცივილიზაციის პერიოდში გაჩნდა. სახელმწიფოს წარმოშობამ პარალელურად საგადასახადო სისტემის წარმოშობა გამოიწვია. ისინი დროთა განმავლობაში იცვლებოდნენ, იზრდებოდნენ ან მცირდებოდნენ, მაგრამ დღევანდელმა ცივილიზაციამ მათი აუცილებლობა ვერ უარყო. დღეს საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია შედარებით სრულყოფილი და მწყობრი სისტემა გადასახადებისა. აი, რას წერდა გადასახადებზე ადამ სმიტი: „გადასახადი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს თითოეულმა ცალკეულმა პიროვნებამ, უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული და არა თვითნებურად დაწესებული. გადახდის ვადა, ხერხი და გადასახდელი თანხა – ყოველივე ეს ნათელი და იოლი გასარკვევი უნდა იყოს გადამხდელისათვის. იქ, სადაც ეს არ ხდება, მოცემული გადასახადის გადამხდელი თითოეული პირი მეტად თუ ნაკლებად გადასახადთა ამკრეფის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, რომელსაც შეუძლია დაამძიმოს გადასახადი გადამხდელისათვის ანდა მოქარის გამოყენების მეშვეობით მიმართოს საჩუქრის ან ქრთამის გამოძალვას!"

საგადასახადო სისტემა უნდა იყოს მარტივი და ეფექტიანი. თუ გადასახადების აკრეფა უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე ის თანხა, რომლისთვისაც კეთდება ყოველივე ეს, მაშინ ასეთი დაბეგვრა ყოველგვარ აზრს კარგავს.

დაბეგვრის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი კი უნდა იყოს მისი სამართლიანი ხასიათი. თუ ვინ და რა მოცულობით უნდა გადაიხადოს გადასახადი, მრავალი განსხვავებული აზრი და კონცეფცია არსებობს და გულისხმობს სიტუაციისდამიხედვით (ეკონომიური მდგომარეობა, საერთაშორისო პირობები) გადასახადების ცვალებადობას.

ერთ-ერთი მიდგომის თანახმად, გადასახადი უნდა იხადოს იმან, ვინც სარგებლობს

კეთილ-დღეობით. მაგალითად, ბენზინზე და საავტომობილო გზებზე გადასახადი – ავტომობილისტმა უნდა გადაიხადოს, მაგრამ ვინ უნდა გადაიხადოს გაჭირვებულების, ინვალიდების და უმუშევრების დასახმარებელი თანხები? ნუთუ თავად უმუშევრებმა და ღარიბმა ოჯახებმა? ალბათ გადასახადი უნდა გადაიხადოს იმან, ვისაც ეს ძალუძს ანუ ძირითადი საგადასახადო წნეხი უნდა მოდიოდეს შედარებით შეძლებულ ოჯახებზე. თუმცა არც ისაა იოლი ზუსტად დაადგინო გადასახადის ოპტიმალური განაკვეთი, რომლებითაც უნდა დაიბეგროს მოსახლეობის სხვადასხვა ფენა.

და კიდევ, როცა გადასახადები ისე იზრდება, რომ შემოსავლიდან თითქმის არაფერი რჩება, ეს ყოველგვარ ინტერესს უკარგავს მეწარმეს თუ ვაჭარს გააგრძელოს თავისი საქმიანობა, ანდა აიძულებს სულაცა დაფაროს თავისი შემოსავლები.

საქართველოში საგადასახადო კოდექსი 1997 წლის ივლისში მიიღეს. იგი წლის ბოლომდე ეტაპობრივად შევიდა ძალაში. მის ავკარგიანობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. გამოითქვა აზრი, რომ იგი ხელაღებით გადმოღებულია სხვა განვითარებული ქვეყნების კოდექსებიდან და შინაურ რეალობებს სრულყოფილად ვერ ითვალისწინებს.

დღეს საქართველოში გამომდინარე საგადასახადო კოდექსიდან მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია:

1. საშემოსავლო გადასახადი;
2. მოგების გადასახადი;
3. დამატებითი ღირებულების გადასახადი;
4. აქციზი;
5. ქონების გადასახადი;
6. მიწის გადასახადი;
7. გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
8. გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის;
9. სოციალური გადასახადი;
10. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
11. გადასახადი ქონების გადაცემისათვის;
12. გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის;
13. საგზაო ფონდში გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადები:

1. გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის;
2. სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
3. საკურორტო გადასახადი;
4. სასტუმროს გადასახადი;
5. რეკლამის გადასახადი;
6. მანქანების პარკირების გადასახადი;
7. გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

ამ გადასახადების გარდა მოქალაქეები გარკვეულ საქმიანობის გაწევისათვის (რეგისტრაცია, გაფორმება, ტვირთების გადატანა) იხდიან საბაჟო გადასახადებს.

ამ გადასახადებზე და მათ ავ-კარგიანობაზე გაზეთის მომავალ ნომრებში ვიმსჯელებთ.

კობა ბრეგვაძე

მსოფლიოს გარშემო

ადვილი დოლარების გამოყენება ყველას როდის შეუძლია

„როგორ შეძლებენ თურქმენეთი და შუა აზიის სხვა რესპუბლიკები, რომლებიც დამოუკიდებელნი გახდნენ 1991 წელს, თავისი უზარმაზარი ნედლეულის გამოყენებას? ხომ არ მიჰყვებიან სპარსეთის ყურის ზოგი არაბული ქვეყნის მაგალითს და ნედლეულის ექსპორტით მიღებულ შემოსავალს ხომ არ გამოიყენებენ თავისი მცირერიცხოვანი ოლიგარქიების გამდიდრებისათვის? ხომ არ შემოფარგლავენ თავის ეკონომიკურ აქტივობას თავისი რესურსების ექსპლოატაციით? თუ, პირიქით, ამ შემოსავლებს მოახმარენ კარგად მოფიქრებული ეროვნული ეკონომიკის დაფინანსებას, რომელიც დამყარებული იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურაზე, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, წყალთა მეურნეობის, განათლების, სანიტარული მდგომარეობაზე გაუმჯობესებას და ა.შ.?"

ამ კითხვას მიეძღვნა საერთაშორისო სემინარი აშხაბადში (26-28 XI. 1997) სათაურით „შუა აზია, რეგიონული კოოპერაცია მშვიდობისა და განვითარებისათვის", რომელიც დაფინანსებული იქნა „საზროვნო ტანკებად" წოდებული ორი ფონდის — ერთი აზიურისა და მეორე გერმანულის — მიერ. სემინარზე ლაპარაკი იყო სიცოცხლისუნარიანი ეროვნული ეკონომიკის შექმნის და საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის გამოკვეთის ამოცანაზე, საკუთარი მდიდარი კოლორიტული მემკვიდრეობის გამოყენებით, რომელიც ამ რეგიონის ქვეყნებს შეუქმნა საბჭოთა კავშირისაგან განთავისუფლებამ. ითქვა, რომ მოსკოვისა და პეკინის შეთანხმება ციმბირი-ჩრდილო ჩინეთის გაზსადენის მშენებლობის შესახებ „ისტორიული მიღწევაა", ვინაიდან იგი დიდ ნაბიჯს წარმოადგენს სახმელეთო სატრანსპორტო სისტემების განვითარების საქმეში. „კონტინენტური გეოეკონომიკური სტრატეგია", ანუ ევრაზიის ხალხთა ურთიერთდაკავშირება პირდაპირ, მოკლე სახმელეთო გზებით, მოწოდებულია, რომ შეარყიოს მსოფლიო ეკონომიკისა და პროგრესის აქამდე არსებული სისტემა, რომელიც საზღვაო გემებზე იყო ორიენტირებული და ამით დაარღვიოს ტრადიციული „დიდი თამაში" ევროპული ძველი იმპერიებისა, რომლებიც თავის საზღვაო უპირატესობას იყენებდნენ აზიის ხალხებზე გასაბატონებლად. „ევრაზიული სახმელეთო ხიდის" მარშრუტის დღემდე შემოთავაზებული რამდენიმე ვარიანტს შორის სემინარზე უპირატესობა მიენიჭა გზას სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან ინდოეთის, ირანის და თურქეთის გავლით ევროპისაკენ. ამასთან, ამ მაგისტრალს აფრიკისაკენ მიმავალი განშტოებაც უნდა გამოეყოს.

აზიის ხალხთა დაპირისპირება და სხვა განვითარებულ ხალხთა დაპირისპირება, სემინარიის მონაწილეთა აზრით, სრულებითაც არაა აუცილებელი და გარდაუვალი, პირიქით. სავსების შესაძლებელია შუა აზიის ქვეყნების გულითადი ურთიერთობა რუსეთთან და ეკონომიკური დახმარების მიღება ამერიკისგანაც. ჩინეთი თავისი უაღრესად სტაბილური მისწრაფებებითა და შუა აზიის ქვეყნების ინტერესებისა და სულისკვეთების გაგების გამორჩეული უნარით, ამ რეგიონის ქვეყნებისათვის მყარი ზურგია, ხოლო ირანი, თურქეთი და პაკისტანი მათი განვითარების ხელშემწყობნი არიან, საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობას, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, სემინარის მონაწილეთა დიდი აღტაცება არ გამოუწვევია, ვინაიდან ისინი ხელს არ უწყობენ მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემას აზიის ქვეყნებისათვის და დიდი სარგებელი ნახეს მათი იაფი შრომის გამოყენებისაგან. „მეტისმეტი ლიბერალიზმი და მეტისმეტი გლობალიზაცია ეკონომიკაში" არაა ხელსაყრელი განვითარებადი ქვეყნებისათვის და თავისუფალი ბაზარი არც ისე თავისუფალია, როგორც გამოიყურება".

რამდენიმე წლის წინ, შუა აზიის რესპუბლიკები სსრკ ეკონომიკის არადამოუკიდებელი, ნედლეულის გატანაზე და მონოკულტურებზე დამყარებული ელემენტები იყვნენ. კავშირი რომ დაიშალა და ისინი ეკონომიკურ ვაკუუმში დარჩნენ, სავალუტო ფონდმა შესთავაზა მათ „ტაფიდან ცეცხლში გადახტომა" და თავისი სესხის პირობად დაუდო პრივატიზაცია საზღვართა გაღებისადმი.

ფულის თავისუფალი კონვერტირებადობა და ბევრი სხვა რამ, რაც აადვილებდა ნედლეულთან უცხოელთა მოსვლას და აუქმებდა სოციალურ დაცვას. ვალუტის თავისუფალ კონვერტირებადობას მოითხოვდა ევროკავშირიც. როგორც ეს სემინარიაზე ჩამოთქმულმა გერმანული აღმოსავლეთევროპულობის ინსტიტუტის წარმომადგენელმა რაინერ ფრაუნთალ-ვირმონგპაუსმა, მოთხოვნა დახმარების სანაცვლოდ სამმაგი იყო: დემოკრატია, ადამიანის უფლებათა დაცვა და ფულის კონვერტირებადობა. უზბეკისტანმა და თურქმენისტანმა უარი თქვეს ამ პირობებზე და დახმარება ვერ მიიღეს. საავალუტო ფონდი არც იმის კმაყოფილი დარჩა, რომ უზბეკეთმა უცხოელ ინვესტორებზე მისაყიდი ფირმების ქვოტად მხოლოდ 25% დაანესა, ხოლო თურქმენეთმა ეკონომიკის სტრატეგიული სექტორები — ნავთობი, გაზი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა — სახელმწიფოს ხელში დატოვა. თურქმენეთმა შეინარჩუნა სოციალური დაცვის ქსელიც, სახელდობრ, უფასო ელექტრონდენი, გაზი, წყალი, მარილი, განათლება და ჯანდაცვა შემოილო. ყირგიზეთში, პირიქით, სოციალური დაცვა გაუქმებულია, რის გამოც სოციალურ აფეთქების დიდი საშიშროება არსებობს.

სემინარს მოახსენდა, რომ თურქმენეთი ინტენსიურად მუშაობს თავის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემათა განსავითარებლად, რათა მალე მოხდეს მისი ინტეგრირება შუა აზიურსა და მსოფლიო ეკონომიკაში. აშენდება 2000 კმ. რკინიგზა უახლესი ტექნოლოგიით. ამ ხარჯებს, რაც აბრეშუმის გზის გაცოცხლებას მოასწავებს, შესაძლებელს ხდის გაზსადენი ირანისკენ, რომელიც ახლა ამუშავდა.

რუსოფილობაც ისეთივე სენია, როგორც სტალინისტობა

გასულ კვირას პარლამენტარები, ბატონები რეგაზ ადამია და გია ბარამიძე ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში იყვნენ ჩასულები. იქიდან მობრუნებულებმა მასმედიას აუწყეს, რომ 19 მარტის დსთ-ის ქვეყნების ხელმძღვანელთა სამიტი ელცინის ავადმყოფობის გამო შესაძლოა არ შედგესო. როგორც გუშინ გაირკვა, სამიტი ნამდვილად არ შედგება და პრეზიდენტსაც აღარ მოუწევს მოსკოვში ჩასვლა.

შევარდნაძის მოსკოვში ჩაბრძანებასა თუ არჩაბრძანებას ჟურნალისტებს არავინ გვკითხავს და ეს არცაა ჩვენი საქმე, მაგრამ იმისი უფლება კი ნამდვილად გვაქვს, ვიკითხოთ, რას მოუტანს ქვეყანას ეს, კიდევ ერთი, ყბადაღებული შეხვედრა?

ამ კითხვაზე ოდნავ გონებაგახსნილი კაციც კი დაუფიქრებლად უპასუხებს, რაც აქამდე მოჰქონდა, ანებივრებს, არც მაინცდამაინც თავზე ხელის გადასმით და თუ უსაშველოდ გაიბუტ-გაჯიუტდა, შესაძლოა ერთი ჭიტლაყიც უთავაზოს.

მაშ, რა უნდა ვქნათ, რომ გვაწყენინებენ, არ უნდა გავიბუტოთო, იკითხავს მკითხველი. მე და თქვენ, ძვირფასო მკითხველო, შეიძლება პიროვნულად გავიბუტოთ ერთმანეთს ან ვინმე სხვას, მაგრამ ხელისუფლებას, რომელიც ისეთივეა პიროვნებებისაგან შედგება, როგორიც მე და თქვენ ვართ, ბუტიაობა არ უნდა ახასიათებდეს.

რამდენი არ ეფერნენ რუსოფილები რუსეთს, რამდენი არ ულიტინეს და უქიცინეს კუდი, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? წართმეული აფხაზეთი, სამაჩაბლო, ასითასობით დევნილი, ათითასობით დახოცილი ქართველი, იავარქმნილი სახლ-კარები... და ყველაფერი ეს

ისევ იმას მოგვიტანსო, ანუ დაპირებათა მთებს, ფუჭი სიტყვების კორიანტელს და იმედების ილუზიებს, რომელთაც არათუ აბდნა უწერიათ, არამედ, უდაბნოს მირაჟებივით, რაც ვუახლოვდებით, მით უფრო გაშორდება.

საფიქრებელია, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ხელისუფლებას გარკვეულწილად აუწია თვალი ჩრდილოელი მეზობლის ფარულ მიზნებსა და ამოცანებზე, თუმცა, ვგონებთ, იმ ჩუჩჩისა არ იყოს ერთი ცნობილი ანეკდოტიდან, არცთუ ბოლომდე. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხელისუფალთ, მიუხედავად იმისა, რომ „უფროსი ძმის" პოლიტიკა ჩვენს მიმართ დღესავით ნათელია, აქამდე კატეგორიული ტონი არ ჰქონიათ არცერთ განცხადებასა თუ ნოტაში და მხოლოდღა მინიშნებებით, ქვეტექსტებითა თუ ზოგადი ფრაზებით კმაყოფილდებიან.

რა თქმა უნდა, იმისი ილუზია არც უნდა გვქონდეს, რომ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით შეიძლება გადაწყდეს, ანუ რუსმა თავისი ჯარი ერთი ჩვენი შეძახებისთანავე გაიყვანოს და საკუთარი აგენტებიც, ასე უხვად რომ არიან სხვადასხვა სტრუქტურებში, მაშინათვე გაიწვიოს, მაგრამ იმ პოლიტიკით, რომელსაც ხელისუფლება დღეს ატარებს ჩრდილოელი მეზობლის მიმართ და რომელიც ზოგჯერ ისე ხასიათდება, როგორც პოლიტიკური ბუტიაობა, რა შედეგსაც ვაღწევთ, ყველასათვის დღესავით ნათელია.

ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ ლექსიკონში პოლიტიკური ბუტიაობის მცნება არ უნდა არსებობდეს და ეს, ასე ვთქვათ, ფრანდად ჩვენებური, ქართული მოვლენა გახლავთ, რომელიც ისე შორს არის თვით პოლიტიკისაგან, როგორც ბავშვია ახლოს ბუტიაობასთან, თუმცა ამ უკანასკნელს უფროსები ეფერებიან მაინც და კამფეტითაც აწყნარებენ, ჩვენს გაბუტულ ხელისუფალთ „ეს, დასანანია, მაგრამ „უფროსი ძმა" არც კამფეტით

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია სიტყვა სენი. ასე რომ არ იყოს, აბა, ის რუსოფილები, რომლებიც საკმაოზე მეტადაც განათლებულები, ნაკითხნი და გათვითცნობიერებულნიც არიან, როგორ ვერ მისდებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ მათმა სათაყვანებელმა დერჟავამ მის გაუმაძღარ სტომაქში ყოფნისას, ანუ იმ ორასი წლის მანძილზე, რაც მის გამგებლობაში იყო, რა დღეც გვაყარა?

ყველა სენი, თუ მთლად უსაშველო არაა, დროთა მდინარეებში იკურნება და იმედია, რუსოფილებიც განთავისუფლდებიან მისგან, თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებს დიდი მიდრეკილება გვაქვს რადიკალიზმისაკენ, უკიდურესობისაკენ და ეს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიდანაც კარგად იგრძნობა. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია იგივე რუსოფილი, განთავისუფლებული ამ მავნე სენისაგან, მომავალში ამერიკანოფილი, გერმანოფილი ან თურქოფილი გახდეს, მსგავსად იმისა, რომ ბევრი სტალინისტი მოგვიანებით ზვიადისტი გახდა. ხოლო უფრო გვიან ზოგიერთი ზვიადისტი შევარდნაძისტი.

არადა, ღმერთმანი, ყველა ქართველისათვის ჭეშმარიტი გზა სულმნათი ილიას გზაა. ანუ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" და ყველანაირი ისტორია, ფილოსოფია და მსგავსი რამ გვერდზე უნდა გადავდოთ, თუ გვინდა ქვეყანას ვემსახუროთ და მართლაც თავისუფალი, დემოკრატიული, ძლიერი საქართველო დავუტოვოთ ჩვენს შვილთაშვილებს.

ერთიც: პიროვნულად მე არც რუსოფილი მეჯავრება, არც სტალინისტი, არც ზვიადისტი, არც შევარდნაძისტი, არც სოციალისტი, არც კომუნისტი... ყველა ისინი ხომ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ძმები, მამები, ბაბუები, ჩვენი ჯიშისა და ჯილაგისანი არიან, ყველანი ერთად კი ხომ ამ ბედკრული ქვეყნის შვილები ვართ, რომელსაც საქართველო ჰქვია და რომელსაც ახლა უნდა პატრონობა.

სერგო ჯანაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა



თენგიზ სიგუა: „მე საქართველოში შევარდნაძის ჩამოყვანის წინააღმდეგი ვიყავი“

მეორე გვერდიდან

დღემდე მსოფლიოს ძირითადი ნავთობმომწოდებლები არაბული სახელმწიფოები იყვნენ, მაგრამ საუკუნის ბოლოს გამოჩნდა ახალი სახელმწიფოები, რომლებიც ნახშირწყალბადების უდიდეს მარაგებს ფლობდნენ. ისინი თითქმის, ასე ვთქვათ, დასავლეთის სამფლობელოებს წარმოადგენს. რუსეთის კომპანია „ლუკოილს“ აქედან მხოლოდ 10% ერგო. ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია ე. ი. დასავლეთმა „თათი დაადო“ ამ უდიდეს საბადოებს.

რაც შეეხება ტრანსპორტირების საკითხს, უნდა აღვნიშნო, რომ არსებობს ტრანსპორტირების სამი პროექტი.

პირველი: ესაა რუსეთზე გავლით, ბაქო-ნოვოროსიისკი; მეორე: დასავლეთის გზა, რომელმაც აზერბაიჯანსა და საქართველოზე უნდა გაიაროს; მესამე: მას პირობითად მუსლიმანური გზა შეიძლება ვუწოდოთ. ირანი-თურქეთი-ჯეიჰანი: ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოს გზას, კონკურენტი გამოუჩნდეს სომხეთის სახით. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში არსებული ძლიერი სომხური დიასპორა, საკმაო ენერგიულ ნაბიჯებს დგამს იქითკენ, რომ ყარაბაღის საკითხის მოგვარებას შეუთანხმოს ნავთობსადენის საკითხი. ე. ი. თუ აზერბაიჯანსა და სომხეთს მოალაპარაკებენ, მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ნავთობსადენი. თუ ის გაივლის ამ ტერიტორიებზე, ამით უკვე გარანტირებული იქნება სიმშვიდე. ასე რომ, მოგვარდება როგორც ერთი, ასევე მეორე საკითხიც.

— ბატონო თენგიზ, როგორც ცნობილია, გიორგაძის დაკავებაზე გაცემულია სანქცია (თუმცა ნემო ბურჭულაძეზის დაკავებაზეც იყო), და მოითხოვენ მის გადმოცემას საქართველოსათვის. რა სავარუდო კავშირი შეიძლება არსებობდეს იგორ გიორგაძესა და ყოფილ ფინანსთა მინისტრ გურამ აბსანძეს შორის, ხომ არაა შესაძლებელი, რომ იგი გარკვეულ ალიანსში იყოს მასთან და მოქმედებდეს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ?

— საქმე ისაა, რომ 9 თებერვლის ტერორისტული აქტი რუსეთის მიერაა დაგეგმილი, მაგრამ პირველი პირი ანუ დამკვეთი არასდროს არ გამოჩნდება. მე მგონი, დამკვეთი უნდა იყოს მაღალი თანამდებობის პირი, შესაძლებელია ეს ე. წ. „ნავთობარონების“ მიერ იყოს ჩაფიქრებული, რადგან რუსეთი ბევრს კარგავს თუ ნავთობსადენი რუსეთზე არ გაივლის. დანაკარგი იქნება პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც. მისი გავლენა კავკასიაზე მნიშვნელოვნად შემცირდება. ცხადია, რომ რუსეთის ინტერესებშია, გამოიწვიოს დესტაბილიზაცია საქართველოში და ამით ხელი შეუშალოს მთელი რიგი სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას. მაგალითად, სომხეთის პრეზიდენტი პეტროსიანი რვა წლის განმავლობაში იყო სახელმწიფოს პირველი პირი და არც ერთი ტერორისტული აქტი არ მოუწყვიათ მის წინააღმდეგ იმიტომ, რომ სომხეთი არის რუსეთის ანკლავი ამიერკავკასიაში.

აზერბაიჯანის პრეზიდენტზე ხუთჯერ იყო მცდელობა ტერორისტული აქტის განხორციელებისა. სხვათა შორის, 9 თებერვლის ტერაქტიდან ერთი კვირის



შემდეგ, ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტმა არსაკოვმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ მას აქვს უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მზადდება ტერორისტული აქტი ალიევის წინააღმდეგ და პირდაპირ დაასახელა, ამას აწყობს რუსეთის სამხედრო დაზვერვა, რომელიც „გრუ“-ს სახელითაა ცნობილი და რუსული „ფსბ“. როდესაც ჰკითხეს, თუ საიდან აქვს ეს ინფორმაცია, დაუფარავად აღიარა, რომ ამ ჯგუფში არის ერთი ჩეჩენი, რომელიც ინფორმაციას მაწვდისო.

ე. ი. სომხეთის პრეზიდენტს ერთხელაც არ უწყობენ ტერორისტულ აქტს, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების ლიკვიდაციის მცდელობას კი რამდენჯერმე აქვს ადგილი. დასკვნის გაკეთება ადვილია.

რაც შეეხება ტერორისტული აქტის მომზადების საკითხს, მგონი, აქ ოთხსაფეხურიანი სისტემა უნდა მოქმედებდეს. დამკვეთი მიდის „გრუ“-ში ან „ფსბ“-ში. იქ ხვდებიან მაღალი ჩინის პირებს, სადაც ამუშავებენ ოპერაციის გეგმას, ეს უკვე მეორე რგოლია. ისინი კი ეძებენ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც შევარდნაძის პოლიტიკის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. არაა გამორიცხული, რომ ამ ჯგუფში მოხვედრილიყო აბსანძე.

ეს მესამე რგოლი კი ეძებს შემსრულებლებს, რომლებიც ასრულებენ „ფსბ“-სა და „გრუ“-ს გეგმებს.

აბსანძეს კი ერთი წელია მიღებული აქვს რუსეთის მოქალაქეობა და თუ ჩვენმა „ძალოვანებმა“ უტყუარი მტკიცებულებანი არ წარუდგინეს რუსეთს, ისე მის გადმოცემაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია.

— უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლება გიორგაძეს შევარდნაძის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს და არა დამნაშავედ.

— მთავარი ისაა, რომ ის მტკიცებულებანი, რომელიც წარუდგინეს გიორგაძეს, რუსეთის მთავრობას არასაკმარისად მიაჩნია. ისინი კი სწორად შენიშნავენ, რომ ეს შესაძლებელია იყოს პოლიტიკური ანგარიშსწორების გამო გასაკეთებელი და არა იმიტომ, რომ ის მართლა დამნაშავეა. ვიცნობ გიორგაძეს, როგორც უშიშროების სოლიდურ თანამშრომელს. თუ უშიშროებამ დაგეგმა და განახორციელა 1995 წლის ტერორისტული აქტი, იქ იმდენი არასერიოზული ნაბიჯი იყო გადადგმული, რომ ეს ძნელი დასაჯერებელია, ჯერ ერთი, რომ უშიშროებას აქვს „ოქროს კანონი“. სადაც კი მომხდარა ტერორისტული აქტი, ყველგან იყო საკონტროლო გასროლები. ავიღოთ თუნდაც თბილისის პროკურორის, მიშა ქურდაძის მკვლელობა, გია გულუასა და სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობები, აქ კი არავითარ „კანტროლკას“ არ ჰქონია ადგილი. მითუმეტეს, სახელმწიფოს პირველ პირზე აწყობ თავდასხმას, ეს არის ფაქტიურად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და საკონტროლო გასროლა არ გაქვს დაგეგმილი?

მეორე: თუ ეს გიორგაძის გაკეთებულია, მას ხომ მართლაც მძლავრი შეიარაღებული რაზმები ჰყავდა „ალფასა“ და „ომეგას“ სახით, რომლებიც მუხროვანიდან არც კი დაძრულან. ისინი ქალაქში უნდა ყოფილიყვნენ და ტერორისტული აქტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი უნდა გაეკონტროლებინათ. არავითარი მსგავსი არ მომხდარა. ამდენად, მიმაჩნია, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს თავდასხმის მოწყობაში გიორგაძის მონაწილეობის არავითარი დასაბუთება არ გააჩნია.

განსხვავებით ამ ტერაქტისაგან, 9 თებერვლის თავდასხმა გაცილებით მაღალ პროფესიონალურ დონეზეა შესრულებული, აქ უკვე კარგად გაწვრთნილი მსროლელები იყვნენ, რადგან 120 კილომეტრით მოძრავ ობიექტზე სამი „მუხის“ მორტყმა ძალიან ძნელია. მაგრამ ჩემი აზრით მათ ერთი შეცდომა დაუშვეს, რის გამოც მიზანს ვერ მიაღწიეს. ვერ გათვალეს, რომ ეს მანქანა ამდენს გაივლიდა სროლის შემდეგ... მათ ალბათ გათვლილი ჰქონდათ 20-30 მეტრი, უფრო მეტიც, მისდევდნენ კიდეც, რადგან მანქანის გაჩერების შემდეგ ავტომატებითა და ხელყუმბარებით გაეგრძელებინათ ოპერაცია.

— ჩვენ გვითხრეს, რომ ბატონ თენგიზს გული აწუხებსო, რას გვეტყვით თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

— არა, ჯანმრთელობას ჯერჯერობით არ ვუჩივი.

— გმადლობთ.

ესაუბრა კობა კაპანაძე

P.S. გაზეთი „საქართველო“ გააგრძელებს ინტერვიუების ციკლს ბატონ თენგიზ სიგუასთან.

მსოფლიოს მკრშემო

ჩინეთი „წონის“ თავის ურთიერთობას ამერიკელებთან

მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, ჩინეთი ფეხზე მაგრად დგას. კრიზისი მას თითქოს არც კი ეხება. თავის 750 მილიარდ დოლარად ღირებულ პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მთელი ინფრასტრუქტურის განვითარებას, ჩინელები ხელის აღებას არ ფიქრობენ.

პრემიერ-მინისტრი ლი პენი აშშ-ს იწვევს კიდეც ჩინეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად და მეგობრულად „აკრიტიკებს“ კიდეც მას. ასე მაგალითად, 4 თებერვალს მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს: „ჩვენ ვერასოდეს დავეთანხმებით აშშ პრეტენზიას, მსოფლიოზე იბატონოს და ვშიშობ, რომ ამას არც სხვა ქვეყნები დაჰყაბულდებიან; „ჩვენ ვერ შევაწუხებთ აშშ ჩარევას სხვა ქვეყნების საქმეებში“. „აშშ-ში ყოველთვის ლამობენ თავისი შინაგანი კანონები საფუძვლად დაუდონ საერთაშორისო კანონებს და სხვა ქვეყნები თავისი კანონებით აცხოვრონ. ამაშია ჩვენი უთანხმოება შეერთებულ შტატებთან“. პრემიერი აკრიტიკებს ზოგ ამერიკელ სენატორს, ვის თვალშიც „ჩინეთი ჯერაც ისე ჩამორჩენილია, როგორადაც მას ძველი ფილმები და რომანები გვიჩვენებდნენ“. იგი ფრთხილად აპარებს საყვედურს ოკეანისგაღმელ პარტნიორს. „ჩინეთმა ბევრად მეტი იცის აშშ-ზე, ვიდრე აშშ-მ ჩინეთზეო“. და ფიქრობს რომ „ამერიკელი სენატორები მხოლოდ მას შემდეგ შეიტყობენ, რომ ჩიხეთის სიტუაცია დღეს სულ სხვა არის, რაც ჩინეთში იმოგზაურეს“.

ლი პენის მეორე საპრემიერო ვადა ამოიწურა. მაგრამ მისი გამონათქვამები, უთუოდ ჩინეთის პოლიტიკური ელიტის საერთო განწყობილებას ასახავს.

ირანი მაგრად იარაღდება...

ლონდონის „ტაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იზრაელის პრემიერი ნეტანიაჰუ აცხადებს, რომ ირანი უფრო დიდი საშიშროებაა მშვიდობისათვის, ვიდრე ერაყი. „აქვე, ირანის საზღვარს გადაღმა, თავისუფლად, სხვათა უკონტროლოდ — ყოველგვარი ზეწოლისა და ინსპექციის გარეშე, ირანი ავითარებს თავის ბალისტიკურ რაკეტებს და ატომურ იარაღს“.

რატომ მოკლეს კორსიკის პრეფექტი?

კლოდ ერინიაკის, კორსიკის პრეფექტის მკვლელობას ა. წ. 8 თებერვალს პოლიტიკური სეპარატისტული მოტივის გარდა „მაფიური“ ფაქტორითაც ხსნიან. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა შევენანმა იგი „ნახევრად მაფიოზური“ ძალის აქტად ჩათვალა. როცა ერინიაკი ამ თანამდებობაზე დანიშნეს (1996), მას დაევალა კორუფციის აღკვეთა, კერძოდ — პარტიებთან დაკავშირებულისა. პრესის ცნობით, ერინიაკი მშვიდად, მაგრამ მტკიცედ ატარებდა ამ კურსს. სხვათა შორის, იგი წინ აღუდგა სამხედრო უწყების კუთვნილი მამულის მიყიდვასაც ამერიკელი იტალიელის გამგებლობაში მყოფი ფირმისათვის, რომელიც „ნამდვილი მაფიის ოფისად“ ითვლება.

ერინიაკი მოკლა ორმა კაცმა თავში ნასროლი ოთხი ტყვიით.

ბირთვული ფიზიკა — ფართო მოხმარების საგანი

ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა და არგენტინისამ — კარლოს მენემმა 4 თებერვალს ერთობლივად იზეიმეს არგენტინული ტექნოლოგიით აგებული ბირთვული რეაქტორის გახსნა ქ. ინშასში. ეს ეგვიპტის მეორე რეაქტორია. მისი მიზანია ემსახუროს მეცნიერულ ექსპერიმენტებს, მედიცინას და სპეციალისტთა მომზადებას. მისი სიმძლავრეა 22 მეგავატი. საქართველოს კანონი, რომელიც ამ დღეებში მიიღება, უშვებს 5 მეგავატამდე სიმძლავრის რეაქტორთა მშენებლობას საქართველოში.

მშვიდობიანი გზით აფხაზეთის დაბრუნების იმედი არ გვაქვს...

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობაზე ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქვა, მაგრამ ეს ის თემაა, რომლის დავიწყება და გულიდან ამოღება არ შეიძლება. დღეს საქართველოში თუ ვინმეს უჭირს, პირველ რიგში ლტოლვილებს. ეს ის ხალხია, რომელთა გაჭირვება მატერიალურ საზღვრებს სცილდება, მათ სულიერად უფრო უჭირთ. ლტოლვილები დღეს საქართველოს ყველა კუთხეში ცხოვრობენ. ათი ათასობით დევნილი თბილისს აფარებს თავს.



გავესაუბრეთ რამოდენიმე მათგანს...

— რამდენი ხანია, რაც სასტუმრო „ივერიაში“ ცხოვრობთ?

— ხუთი წელია, კიდევ რამდენ ხანს ვიცხოვრებთ ვინ იცის.

— როგორ პირობებში ცხოვრობთ?

— რა პირობებზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა სასტუმროს ნომრებში ვცხოვრობთ. ვისაც რაიმეს საშუალება ჰქონდა, კიდევ რაღაცით გაიუმჯობესა პირობები. ზოგმა გაზის ბალონი დადგა, ზოგმა წყლის გამაცხელებელი დაამონტაჟა, ვისაც ამის საშუალებაც არ გვაქვს, კი ვართ ასე, ცხოვრების დინებას მინდობილები.

— სახელმწიფოსგან თუ ღებულობთ რაიმე მატერიალურ დახმარებას?

— გვეხმარებიან ხანდახან, მაგრამ ეს დახმარება ისე მცირეა, ლაპარაკადაც არ ღირს.

— ჰუმანიტარულ დახმარებას თუ ღებულობთ?

— ადრე უფრო გვაძლევდნენ, ეხლა რამოდენიმე თვე ისე გავა არავითარი დახმარება არ ჩანს.

— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა აფხაზეთის დაბრუნება მშვიდობიანი გზით?

— მშვიდობიანი გზით აფხაზეთის დაბრუნების იმედი არ გვაქვს. ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, შედეგი კი არ ჩანს. ამას ჯობია ისევ იარაღის ძალით ვცადოთ ტერიტორიის დაბრუნება, თუ ვერაფერს გავხდებით, გმირულად მაინც დავიხოცებით. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია.

როცა ლტოლვილებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგრჩეს სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა, მითუმეტეს, რომ მათ აფხაზეთიდან დევნილებზე ნაკლებად არ უჭირთ. თითქოს სამაჩაბლოში მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ მოსახლეობა საკუთარ სახლებში მაინც ვერ ბრუნდება. როგორც მათი ლაპარაკიდან გავიგეთ სამაჩაბლოში ქართველი ოჯახების სახლებში დღეს ოსი ეროვნების ოჯახები ცხოვრობენ და თანაც საკმაოდ კომფორტულადაც.

საინტერესოა, როდემდე უნდა იყოს ეს ხალხი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილის სტატუსით.

ნინო კაპანაძე

სენსაცია

მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ, ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

ეს მეცნიერული ნარკვევი რუსეთის ისტორიის ახლებური გააზრების ცდაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, ბ-ნ ვლადიმერ ხვედელიძისა, რომელიც, ვფიქროთ, უსათუოდ დაინტერესებს მკითხველს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაში გამოიწვია ეკონომიკის კრახი, სამოქალაქო ომები, გადაზრდილი შეიარაღებული შეტაკებები. საქართველოსა და მოლდავეთში კი სეპარატისტული მოძრაობები, რასაც მოჰყვა შეიარაღებული კონფლიქტები და ამ სუბიექტების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება. გამონაკლისს ბალტიისპირეთის ქვეყნები — ლიტვა, ლატვია და ესტონეთი წარმოადგენენ, თუმცა კი რუსეთის ზეწოლა ამ ხალხებზე ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სხვებზე, მთავარ მიზეზს მათი საბჭოთა კავშირიდან შედარებით ცივილიზებული გასვლისა და მშვიდობიანი განვითარებისა წარმოადგენდა სხვა ხალხებთან შედარებით ეროვნული თვითშეგნების, კულტურის უფრო მაღალი დონე და, რაც მთავარია თითქმის არ არსებობა კოპრადორებისა. რა თქმა უნდა, ყველა ეს სოციალური თუ პოლიტიკური კატაკლიზმა შემთხვევითი არ ყოფილა, მათი პროვოცირება და მართვა ხდებოდა მოსკოვიდან. კრემლს ეშინოდა რა თავად რუსეთის ფედერაციის დაშლისა, ცდილობდა ეჩვენებინა ფედერაციაში შემავალი ხალხებისათვის თავისი ძალა და მზადყოფნა. რადაც არ უნდა დაჯდომოდა არ დაეშვა თავად რუსეთის დაშლა.

მთელი დატვირთვით ამუშავდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები, რათა შეენარჩუნებინათ რუსეთის გავლენა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე. თვით რუსეთში მათი ძალისხმევით გააქტიურდა ყველა ნაციონალისტურად განწყობილი ძალა, შოვინიზმი და ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ი მ პ ე რ ი უ ლ აზროვნებასთან ერთად იქცა საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაბატონებულ საფუძვლად. ჭეშმარტების მომენტი რუსეთს ჩეჩნეთში დაუდგა. რუსეთის ფედერაციის იდეოლოგიური მანქანა მთელი სიძლიერით ამუშავდა, და კვლავ ამოტივტივდნენ ზედაპირზე რუსეთის ისტორიის მითები. და თითქოს და მხარს უჭერდნენ ამ პროპაგანდისტულ კამპანიას ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ყველა რჯულის კომპლადორი (განსაკუთრებით ეს საქართველოს შეეხება) მათ მიერ კონტროლირებადი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტელევიზიის მეშვეობით კვლავ შეუდგნენ „დემოკრატიული", „შვიდობისმოყვარე", „ცივილიზებული" რუსეთის ხატის შექმნას. რუსეთისა, რომელსაც „ცივილიზაციისა და გონის" სხივი შეაქვს „ხრწნად დასავლეთსა" და განვითარებად აღმოსავლეთში.

მაგრამ რეალურად რა მისცა რუსეთმა მსოფლიოს? მუდმივი შიში საკუთარი ბედის, საკუთარი ქვეყნის და ხალხის დამოუკიდებლობის დაკარგვისა, მათი ოჯახებისა და საკუთარი სიცოცხლის გამო. ამგვარი მაგალითი ურიცხვია. ფართოვდებოდა რა მოსაზღვრე ხალხთა ხარჯზე, რუსეთს მოჰქონდა მათთვის ველური აზიურობა და ტირანია.

მაშინ, როდესაც ევროპა ვითარდებოდა პიროვნების სულ უფრო მზარდი უფლებებისა და ეროვნული თავისუფლებების მიმართულებით, რუსეთის განვითარება ხდებოდა — პიროვნებების უფლებათა დათრგუნვის და სრული ლიკვიდაციის

გზით. ევროპელს სრულიად ველურად მიაჩნია სახელმწიფოს პრიმატი პიროვნებასთან მიმართებაში, სახელმწიფო მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის მხოლოდ ინსტრუმენტია ინდივიდის, მოქალაქის ცხოვრების პირობების შექმნისა. რუსეთში კი სახელმწიფო ინტერესები პრიორიტეტულია.

რუსეთის ისტორიული გზა მისი წარმოშობის მომენტიდანვე მოცულია იდუმალებით და აშკარა სიცრუთ, ფარისევლობით, ვერაგობით, ბარბაროსული აულაგმაობით, მისწრაფებით ექსპანსიისაკენ. მთელი რუსეთის ისტორია არის მონაცვლეობა ავარული, ხაზარული, ვარიაგული, მონღოლური, ბიზანტიური, დოგმატური გავლენებისა.

პეტრე პირველმა მხოლოდ ევროპელობის მარმაში წაიფარა ამ მახინჯ წარმონაქმნს, მაგრამ „გაფხეკ რუსს და თათარი გამოძვრება." იდუმალებით მოცულია თვით წარმოშობა რუსებისა, მათი სახელმწიფოებრიობის ჩასახვა, მაგრამ ეს პოლუშინელის საიდუმლოა და საიდუმლოა მხოლოდ თავად „რუსებისთვის", მაშინ, როდესაც მთელმა მსოფლიომ უკვე კარგა ხანია იცის მთელი სიმართლე თუ არა, მისი მეტი წილი მაინც.

რუსული და საბჭოური ისტორიოგრაფია ახდენს რა თავის ისტორიის მითოლოგიზებას, რუსი ხალხის წარმოშობას უკავშირებს აღმოსავლეთ სლავებს, რომლებიც თითქოსდა წინაპრები იყვნენ თანამედროვე რუსებისა. მითის სქემა საკმაოდ პრიმიტიული და ყველასათვის ნაცნობია.

სლავები, რომლებიც თითქოსდა ოდითგანვე ბინადრობდნენ მდინარე დნეპრის, მოსკოვისა და ვოლგის ზემო წელის აუზში, ჯერ ვარიაგ დამპყრობებს ებრძოდნენ და სწორედ ამ ბრძოლაში შექმნეს თავიანთი რუსული სახელმწიფოებრიობა (ამასთან რუს ისტორიკოსთა ნაწილი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას უკავშირებს ვარიაგთა მოწვევას), ხოლო შემდეგ ხაზარებს და ყივჩაღები აწყობდნენ ძლევამოსილ ლაშქრობებს ბიზანტიაზე და ამიერკავკასიაშიც მოდიოდნენ კასპიის ზღვის გავლით. მე-13 საუკუნეში ყივჩაღების ღალატის გამო მონღოლებმა დაამარცხეს რუსები მდ. კალკაზე და შემდეგ დაიპყრეს „რუსეთი" და მხოლოდ სამი ასეული წლის შემდეგ შეძლო მან მონღოლთა უღლის გადაგდება.

ჯერ აქ შევჩერდეთ, და დასაწყისისათვის განვიხილოთ მითი რუსების წმინდა სლავური წარმომავლობის შესახებ.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველად წერილობით წყაროებში აღმოსავლეთის სლავები მოიხსენიებიან მხოლოდ ჩვენ წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნიდან. ხოლო პირველი ცნობები „რუსების" ან „როსების" შესახებ ჩნდება არა უადრეს IX საუკუნისა.

VI საუკუნეზე ადრეული პერიოდით დათარიღებული ნამდვილად სლავური კულტურის ძეგლები აღმოჩენილი არ არის.

XIII საუკუნის დასაწყისამდე ის ტერიტორიები, რომლებიც დღესდღეისობით ოდითგანვე რუსულად ითვლება ე. ი. დღევანდელი მოსკოვის, ვლადიმირის, ტვერის, ნიჟეგოროდის ოლქები, დასახლებული იყო ამ მხარის აბორიგენი მოსახლეობით — ფინელ-უგორებითა და ბალტებით. ხოლო სამხრეთით, დნეპრის მარცხენა სანაპიროსა და პოლესიეში, ბინადრობდა ძველი ირანულენოვანი მოსახლეობა სარმატების შთამომავლები, ყივჩაღები, თურქ-ბოლგარები და ხაზარები. (დღევანდელი ტულის, ვორონეჟის, კურსკის, ტამბოვის და სხვა ოლქები). VII საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთ სლავები ინყებენ შეღწევას (გეოგრაფიული ცნება) დასავლეთიდან, ხოლო აღმოსავლეთიდან ამავე დროს შემოდიან ხაზარები. VII საუკუნისათვის იუდაურ ხაზართა და აღმოსავლეთ სლავთა ტომებს შორის საზღვარი გადიოდა დნეპრზე. ხაზართა სახაკანოში შევიდა დღევანდელი რუსეთის პრაქტიკულად მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილი, მაგრამ სახაკანოში არც ერთი სლავი არ იყო. ამ დროისათვის აღმოსავლეთ კარპატების მთისწინეთსა და დნეპრის დასავლეთ სანაპიროზე დაბინადრდნენ აღმოსავლეთ სლავთა ძლიერი ტომები. ხაზარებმა კი ხარკი დააკისრეს დასავლეთით მოსახლე ყველა ტომს, ხოლო კიევის სახაკანო

გაგრძელება მე-8 გვ

ახალი ამგები

საზღვაო-სანაოსნოს აჭარის გიუჯეტის ვალი აქვს

აჭარის საგადასახადო ინსპექციის უფროსს, ტარიელ ბარამიძის განცხადებით, საქართველოს საზღვაო-სანაოსნო დეპარტამენტს აჭარის ბიუჯეტის 2,5 მლნ-ზე მეტი ლარი მართებს. ასლან აბაშიძის თქმით, მან საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს ხელმძღვანელს ბიჭიკო ლაშარიძეს მიმდინარე წლის I კვარტლის ბოლომდე ვალის დაფარვის საშუალება მისცა. ამავე დროს მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც ამ სამსახურის ბოლო წლების საქმიანობას შეისწავლის. როგორც წინასწარი მონაცემებით ირკვევა, აღნიშნული ორგანიზაცია წინასწარ გააზრებულად წამგებიან კონტრაქტზე მუშაობდა.

დსთ-ში მარსიდან მოფრენილი უცხოპლანეტელები არ არიან

საქართველოს სახალხო-პატრიოტული მოძრაობის ლიდერმა, ავთანდილ მარგიანმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ 19 მარტს დსთ-ის სამიტში მონაწილეობის თაობაზე გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ უხერხულია იმაზე დაფიქრებაც კი, უნდა გაემგზავროს თუ არა პრეზიდენტი მოსკოვში, ვინაიდან მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრი მოსკოვშია, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პრობლემატური საკითხები ჯერჯერობით მოსკოვში უნდა გადაწყდეს. ამიტომ საქართველოს პრეზიდენტი არა მარტო უნდა ჩავიდეს მოსკოვში, არამედ უნდა დარჩეს კიდეც იქ და მოაგვაროს საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც ავთანდილ მარგიანმა აღნიშნა, იგი პირველი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელმაც მინსკში 1993 წელს ხელი მოაწერა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების შეთანხმებას. „მე დანგრევის მომხრე არ ვყოფილვარ, მე მხოლოდ „პერესტროიკის მომხრე ვიყავი. დღეს დსთ შეიძლება კოჭლობს კიდევაც, შეიძლება იგი თავს მოხვეული ორგანიზაციაც არის და სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ედუარდ შევარდნაძე ჩავიდეს მოსკოვში, სადაც მან თავისზე უმცროს კოლეგებს რჩევაც კი უნდა მისცეს, თუ როგორ გახდეს დსთ უფრო ეფექტური - აღნიშნა მარგიანმა.

მისი თქმით, თუ საქმე დაიწყე, ბოლომდეც უნდა მიიყვანო. „როცა ამბობენ, რომ გასული წლის მარტის სამიტის შედეგები არ შესრულდა, მუშაობა კი არ უნდა შეწყდეს, პირიქით, უნდა გააქტიურდეს. როცა ერთი თვე გავა და საქმე არ გაკეთდება, მეორე თვეს განგაში უნდა ატეხო და საქმის მოგვარებაზე იფიქრო და არა იმაზე, როგორ გამოხვიდე თანამეგობრობიდან - თქვა საქართველოს სახალხო-პატრიოტული მოძრაობის ლიდერმა.

ავთანდილ მარგიანის თქმით, „დსთ-ში მარსიდან მოფრენილი უცხოპლანეტელები კი არ არიან, არამედ ისეთივე ადამიანები, როგორც ჩვენ და მათაც გააჩნიათ თავიანთი პრობლემები,ხოლო თუ ჩვენ ჩვენი პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი, იმ ხალხს უნდა გავაგებინოთ რა გვინდა და უნდა ვიაქტიუროთ იმისათვის, რომ ჩვენი საქმე გაკეთდეს.

ავთანდილ მარგიანს იმედი აქვს, რომ თუ საქართველო თავის სიმაღლეზე დარჩება, დსთ-ში იაქტიურებს და ქვეყნის პრობლემების გადასაწყვეტად დსთ-ს წევრებთან ითანამშრომლებს, ეს აუცილებლად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება და საქართველო სანადელს მიაღწევს.

საზოგადოება „აგვისტო - 1924-ის განცხადება

19 მარტი ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთი მტკივნეული თარიღია. 1921 წელს ამ დღეს საქართველოს მთავრობამ მტრის შემოსევის გამო ეროვნული ტერიტორია დატოვა და უცხოეთში გაიხიზნა. აღნიშნულთან დაკავშირებით საზოგადოება „აგვისტო - 1924 აწყობს პრესკონფერენციას ხუთშაბათს, 19 მარტს, 3 საათზე თემაზე: „ისტორია და დღევანდელობა.

მისამართი: 9 აპრილის (ყოფ. ჩიტაძის) №2.

დავით აღმაშენებლის პარტიის განცხადება

ამა წლის 9 თებერვალს ჩვენს ქვეყანაში მოხდა უსაშინლესი ტერ-აქტი (უფრო სწორად სამხედრო ოპერაცია) განხორციელებული საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებლის პარტია ამ აქტს მიიჩნევს ყველა ქართველის შეურაცხყოფად. ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა საქართველოს პრეზიდენტი, ის ქვეყნის სიმბოლოა და მას თვალისჩინივით გაფრთხილება სჭირდება. ჩვენ სასტიკად ვგმობთ ტერ-აქტის სამხედრო ოპერაციის ორგანიზატორებს და მოვუწოდებთ ხელისუფლებას უსწრაფესად გაატაროს რადიკალური ღონისძიებები, რათა მარიამღვთისმშობლის წილხვედრ მიწიდან ერთხელ და სამუდამოდ აღიგავოს ძალადობის მოყვარული ადამიანები, ხოლო ხალხს შეექმნას ელემენტარული ცხოვრების პირობები, რათა ისინი ვიხსნათ ფიზიკური და სულიერი განადგურებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავ ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, უმოკლეს ვადაში დანიშნოს ადგილობრივი თვითმმართველობის, ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რათა ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ პატიოსანი, მართალი პატრიოტი, ეროვნული იდეების მატარებელი კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც დაიცავენ არათუ პრეზიდენტის, არამედ ნებისმიერი რიგითი მოქალაქის უსაფრთხოებას, ხალხს კი შეუქმნიან შრომისა და დასვენების ნორმალურ პირობებს, როგორც ეს შეეფერება ცივილიზებულ ქვეყანას.

დავით აღმაშენებლის პარტიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი
როინ ლიპარტელიანი

ცხინვალის ზონიდან ძალადობით გამოდევნილი ქართველი მოსახლეობის

განცხადება

ჩვენ, ცხინვალის ზონიდან და ქალაქ ცხინვალიდან ოსების მიერ ძალადობით გამოდევნილი ქართველი მოსახლეობა ვაცხადებთ:

ჩვენ ვცხოვრობდით ჩვენი მამა-პაპის ისტორიულ მიწაზე. თუ ეს მიწა „ოსეთად" გამოცხადდება, და თუ იქ ისევ ოსების ბატონობა გამეორდება, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო, ჩვენ იქ ვეღარ დავბრუნდებით.

მაისურაძე, ხადური, ქურთიშვილი, კასრაძე, ქურთიძე, ხადური, დუდაშვილი, ბიძინაშვილი, ა. მაისურაძე, ნ. მაისურაძე, ჯ. მაისურაძე, მ. მაისურაძე, კასრაძე, მ. ხელაშვილი, გულბაგი, მამისაშვილი, მ. კანდელაკი, მჭედლიძე, ვ. ასილაშვილი, ტ. გოგიტიძე, ზ. ოტიაშვილი, მ. რაზმაძე, რ. კაბიძე, ს. მამისაშვილი, კ. ნამშურიძე, ე. კახნიაშვილი, ლ. საბაძე, გ. მჭედაძე, მ. ბიძინაშვილი, მ. მჭედლიშვილი, გ. გოგიძე, ნ. გასილაძე, ე. დათაშვილი, ტ. მგელაძე, ნ, გაღდადაძე, გ. ლომსაძე, ე. კილაძე, ა. ზოზიაშვილი, ძ. მჭედლიძე, ლ. ჯანგირაშვილი, უ. ზუბაშვილი, შარაშენიძე, ზოზიაშვილი და სხვები.

სოფლის დამცველთა განიარაღება გრძელდება

გრძელდება ა.წ. 16 მარტს ქართულმა რადიომ მოგვიტანა სასიხარულო ცნობა: სოფელ ქურთაში, რომელიც ერთ-ერთია დიდი ლიახვის ხეობაში ალყაშემორტყმულ ცხრა ქართულ სოფელს შორის, სიმშვიდის სადარაჯოზე მყოფ პოლიციას ორი მოსახლისგან ორი ავტომატი და რამდენიმე ვაზნა ამოუღია. სოფელს, რომელმაც არაერთხელ განცადა თავდასხმა, სარაკეტო ცეცხლი და რუსის ბეტეერთა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით დაცხრილვა, ხოლო მომავალში ღმერთმა იცის რა ელის „რესპუბლიკის" მაძიებელი ბანდების მხრიდან, ორი ერთეული საბრძოლო იარაღი დააკლდა. რა დააკლდა იმ კბილებამდე შეიარაღებულ ბანდებს, რომლებმაც ეთნიკური წმენდა ნაწილობრივ უკვე ჩაატარეს და ნაწილობრივ სამომავლოდ გეგმავენ? რამდენი ავტომატი წაართვეს ბანდებს სოფ. ფრისში რომელიც იმ ცხრა სოფელს კეტავს? არაფერი. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს პრეზიდენტი იმ ბანდების ლექსიკონით ლაპარაკობს (გამოთქმა „სამხრეთ ოსეთის" ხმარობს), ქართული სოფლების დამცველებს აპატიმრებინებს იარაღის ხელში ჭერისათვის, ხოლო იარაღის მჭერელ ოსებს ბოდიშს უხდის. დიახ, ამ ხელისუფლების ხელში საქართველო ყველას ქვეყანაა, გარდა ქართველებისა. ქართველი მოსახლეობის დასახოცად გამზადებულ ბანდებს არსებობის უფლება აქვთ, სოფლის დამცველს კი იარაღის ქონის უფლება არა აქვს.

შიდა ქართლელი

ახალი ამბები

ელცინის ავადმყოფობა მხოლოდ საბაბია

„ბორის ელცინის ავადმყოფობა მხოლოდ საბაბია სამიტის ჩაშლისა, რეალური მიზეზი კი დსთ-ის კრიზისია"" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას ედპ-ის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ ამ კრიზისის გამომჟღავნებაში მხოლოდ აზერბაიჯანმა შეიტანა წვლილი, ხოლო სამიტში მონაწილეობის თაობაზე შევარდნაძის თანხმობის გამო საქართველო საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გეა

რამდენი საუკუნე სჭირდება რუსეთს „მოსამზადებლად"?

სამიტის ჩაშლის მიზეზად გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე დღევანდელ პირობებში სამხრეთ კავკასიის მიმართ რუსეთის პოლიტიკის შეცვლის შეუძლებლობას მიიჩნევს. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, რუსეთი ჯერჯერობით არც ფსიქოლოგიურად და არც პოლიტიკურად მზად არ არის შეცვალოს საქართველოსადმი თავისი იმპერიალისტური პოლიტიკა.

გეა

სამიტზე საძმე არ კეთდება. საძმე გაკეთდება სსრკ-ის ხალხთა ასამბლეაზე

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერს, პანტელეიმონ გიორგაძეს არ გაკვირვებია, რომ 19 მარტისთვის დანიშნული დსთ-ის სახელმწიფოების ლიდერთა სამიტი არ ჩატარდება. როგორც მან გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, მას ეს სამიტები აგონებს ადრინდელი თვალთმაქცი კომუნისტების ცკ-ის შეკრებას, რომლებიც ცრუობდნენ და ერთმანეთს ელაქუცებოდნენ".

სამიტის მონაწილეებს გიორგაძე უწოდებს „ერთ რაზმს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლაზეა პასუხისმგებელი".

პანტელეიმონ გიორგაძის აზრით, „სახელმწიფოთა მეთაურები ელემენტარულად არ იყვნენ მზად სამიტისთვის და იგი ამიტომაც არ შედგება".

„სამიტზე ხელს აწერენ ქაღალდების მასას, რომელთა რეალიზაციაც შემდგომში არ ხდება, ატყუებენ ხალხს" - თქვა გიორგაძემ. მისი აზრით, „საქმე უნდა გაკეთდეს, რაც დსთ-ის ქვეყნების მეთაურებს არ ძალუძთ".

სეკპ-ის ლიდერმა გეა-ს კორესპონდენტს აცნობა, რომ „მიმდინარე წლის აპრილში კიევში შეიკრიბება სსრკ-ის ხალხთა ასამბლეა, რომელზეც განიხილავენ საკითხს ერთიანი ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და სხვა სივრცეების აღდგენის შესახებ". ასამბლეის მუშაობის შედეგები გადაეგზავნება სახელმწიფოთა მეთაურებს. „თუ ისინი ასამბლეის გადაწყვეტილებებს არ დაეთანხმებიან, ამ შემთხვევაში საბოლოო სიტყვას ხალხი იტყვის" - დასძინა პანტელეიმონ გიორგაძემ.

გეა

კრიმინალური ქრონიკა

დეზდემონას გაქურდვა არ შერჩა!

15 მარტს მეტროპოლიტენის დაცვის სისხლის სამართლის სამძებროს და ადმინისტრაციული პოლიციის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ბაღდათელი 19 წლის მამუკა თოდაძე, რომელმაც მეტრო სადგურ „გურამიშვილის" ქვედა ვესტიბულში დეზდემონა ქუმსიაშვილს მოპარა პირადი ნივთები.

16 მარტს მთაწმინდის პოლიციამ დააკავა თბილისელი ნასამართლევი 15 წლის ირაკლი ბაღდავაძე და 44-ე სკოლის შოსწავლე 13 წლის იური მუსტაევი, რომლებმაც 11 მარტს გაქურდეს თბილისელი დემურ ხურციძის ბინა. ნაქურდალი ამოღებულია.

ჭიღლაძეს ავტომანქანაში „ოპიუმი" აღმოაჩნდა!

15 მარტს საჩხერის პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის თანამშრომლებმა დააკავეს სოფ. სარეკში მცხოვრები 25 წლის გელა ჭიღლაძე და 21 წლის თემურ ჭიღლაძე, რომლებსაც გელა ჭიღლაძის ავტომანქანაში გაზ-24 აღმოაჩნდათ 4 გრამი ოპიუმი. მათი განმარტებით, აღნიშნული ნივთიერება შეიძინეს ჯავის რაიონის სოფ. სინაგურაში მცხოვრებ ვინმე ალანისგან.

❦ ❦ ❦

14 მარტს შიდა ქართლის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ხაშურის შს რაიგანყოფილების შესაბამისის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დააკავეს ხაშურელი 25 წლის კახაბერ ნოზაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 0,6 გრამი ოპიუმი.

❦ ❦ ❦

6 მარტს დაბა სურამის პოლიციას სოფ. გვერდისუბანში მცხოვრებმა 40 წლის ნოდარ კობალაძემ ნებაყოფლობით ჩააბარა მცირეკალიბრიანი შაშხანის ვაზნებზე გადაკეთებული პნევმატური სისტემის „იჟ-38" უნომრო თოფი.

❦ ❦ ❦

10 მარტს ზუგდიდში დისლოცირებულ აფხაზეთის შსს დროებით შტაბს ხობში მცხოვრებმა 46 წლის გოგი შონიამ ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი აკმ.

❦ ❦ ❦

15 მარტს ზუგდიდში დისლოცირებულ აფხაზეთის შსს დროებით შტაბს გალის რაიონის სოფ. ზემო ბარლებში მცხოვრებმა 41 წლის მურმან ბუთბაიამ ნებაყოფლობით ჩააბარა ერთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

გიორგაძემ ორი ახალგაზრდა დაჭრა

16 მარტს დიდუბის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილებისა და ადმინისტრაციული პოლიციის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს თბილისელი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი 20 წლის ლაშა გიორგაძე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას დანით მუცლის არეში დაჭრა თბილისელი 20 წლის შოთა კალანდარიშვილი და გულმკერდის არეში 20 წლის თემურ ჯობავა. კალანდარიშვილი და ჯობავა მოთავსებულნი არიან საავადმყოფოში.

❦ ❦ ❦

14 მარტს შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს ცხინვალის რაიონის სოფ. წინაკარში მცხოვრები 22 წლის ბესარიონ ძუკაევი — 27 წლის ილია ხუბულოვი და გორელი 26 წლის დალი ბერაშვილი. ძუკაევსა და ბერაშვილს შესაბამისად აღმოაჩნდათ 0,5 გრამი ოპიუმი. ხუბულოვი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. ძუკაევს აღმოაჩნდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის შს სამმართველოს მიერ მის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა.

სიძე ნაჯახით დაჭრა!

13 მარტს გურჯაანის პოლიციამ დააკავა გურჯაანელი 71 წლის რეზო ხანდარაშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას ნაჯახის დარტყმით თავში დაჭრა სიძე, თბილისელი 33 წლის ზურაბ იმნაძე. დაზარალებული მოთვასებულია საავადმყოფოში.

„ქალბაზონ" მანანას ბრალად ედება...

13 მარტს საგზაო პოლიციის მე-6 განყოფილების იმერეთი და ხარაგაულის პოლიციის თანამშრომლებმა ზესტაფონში დააკავეს ზუგდიდელი 37 წლის მანანა ვადაჭკორია, რომელმაც ხარაგაულის რაიონის სოფ. წაქვაში გაჩერებულ თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამშენებლო სამმართველოს კუთვნილი ზილ-130 მარკის ავტომანქანიდან დასახელებული სამმართველოს სადურგლო საამქროს უფროსს, თბილისელ გელა ჩადუნელს მოპარა 1400 აშშ დოლარი და 100 ლარი.

❦ ❦ ❦

14 მარტს ქუთაისის პოლიციამ დააკავა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ოზურგეთის რაიონის სოფ. ქვედა ბახვში მცხოვრები 21 წლის გია მუკბანიანი, რომელმაც ქუთაისელი გოჩა ბარბაქაძის ავტომანქანა გაქურდა. ნაქურდალი ამოღებულია.

ნარკომანები დაისჯებიან!

13 მარტს ახალგორის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ახალგორელი ნასამართლევი 42 წლის ტარიელ გათენოვი, რომელსაც აღმოაჩნდა 120 აბი და 5 ამპულა „ტრამალი", 5,5 გრამი მარიხუანა და ავტომატ „აკს"-ის 27 ვაზნა.

შურადოს 145 ჩეკი „ოპიუმი" აღმოაჩნდა!

12 მარტს კრიმინალური პოლ. დეპარტ. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს თბილისელი, ოთხჯერ ნასამართლევი 40 წლის რუბენ არუთინიანი, რომელსაც აღმოაჩნდა 5 ჩეკი ოპიუმი და რეალიზატორი, თბილისელი 32 წლის მარინე ბერაძე, რომელსაც აღმოაჩნდა 40 ჩეკი ოპიუმი, ხოლო ბინაში 35 ჩეკი. დადგინდა, რომ ბერაძეს ნარკოტიკული ნივთიერებით ამარაგებდა ვინმე ნავი, რომელიც 13 იანვარს დააკავა ვაგზლის მოედანზე. იგი აღმოჩნდა მარნეულელი, ნასამართლევი 52 წლის ნავი მურადოვი, რომელსაც აღმოაჩნდა 145 ჩეკი ოპიუმი.

❦ ❦ ❦

13 მარტს ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს განცხადებით მიმართა ზუგდიდელმა ჯამბულ შავდიამ მასზედ, რომ 1997 წლის 7 დეკემბერს ზუგდიდის რაიონის სოფ. ანარიაში მცხოვრებმა 48 წლის ივანე ინჯგიამ თაღლითური გზით გამოსტყუა 6900 ლარის ღირებულების სხვადასხვა საქონელი. ინჯგია დაკავებულია.

ავტოტრანსპორტის ქურდი!

12 მარტს გორის პოლიციამ დააკავა გორელი 21 წლის ზურაბ ყარანგოზიშვილი, რომელმაც 7 მარტს დ. აღმაშენებლის ქუჩიდან გაიტაცა ვახტანგ ქავთარაძის ავტომანქანა ვაზ-21011 და ავტომანქანის დაბრუნებაში სძალავდა 700 დოლარს. ავტომანქანა დაუბრუნდა ფლობელს.

რობაქიძეს ყალბი 100 დოლარიანი აღმოაჩნდა!

12 მარტს სადგურ „ქუთაისი-1"-ის ტერიტორიაზე სატრანსპორტო პოლიციის ქუთაისის რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ქუთაისელი 29 წლის დიმიტრი რობაქიძე, რომელსაც აღმოაჩნდა ყალბი 100 დოლარიანი. რობაქიძე გაშვებულია ხელწერილით.

ამხილეს ჩაის ფაბრიკის საწყობის გაძგე!

12 მარტს სამეგრელო-სვანეთის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის და სამხარეო პროკურატურის თანამშრომლებმა ამხილეს სენაკის რაიონის სოფ. უშაფათის ჩაის ფაბრიკის საწყობის გამგე, იმავე სოფელში მცხოვრები 35 წლის იროდიონ ბოკუჩავა, რომელმაც 1997 წლის 22 აგვისტოს გასავლის ანგარიშ-ფაქტურაში ტაჯიკეთის რესპუბლიკის ფირმა „ბეკზე" მიწოდებული 30 ტონა ჩაის ნაცვლად წინასწარი განზრახვით ასახა 20 ტონა. 13 მარტს აღიძრა საქმე 191 მუხლით. ბოკუჩავა გაშვებულია ხელწერილით.



ყაზაუვილი ყაჩაღობისათვის დაისჯება!

13 მარტს რუსთავის პირველი განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს რუსთაველი ნასამართლევი 36 წლის ნოდარ ყატაშვილი, რომელმაც 1992 წლის 19 ნოემბერს სხვა პირებთან ერთად მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა რუსთაველ ანზორ ბურჯანაძის ოჯახზე.

კიდევ ერთი თაღლითი!

12 მარტს ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად მთაწმინდის სისხლის სამართლის სამძებროს სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისელი 31 წლის ვოვა კარამიანი, რომელმაც 1998 წლის იანვარში გახსნა ფირმა „ლაუაი". მან მოქალაქეებს გამოართვა და მიითვისა 4000 ლარი, იმ მოტივით, რომ გააგზავნიდა სამუშაოდ საზღვარგარეთ.

ხათუნა ნოზაძე
შსს-ს პრესცენტრი

ახალი ამბები

გაუქმებული კონსტიტუცია უნდა აღდგეს - მიიჩნია დავითაიას

„1991-92 წლების გადატრიალებით საქართველოს ხელისუფლებაში დამკვიდრებული ხუნტის მემკვიდრეები დღეს ფსევდოპატრიოტული მიზნებით ენგურის ხიდთან ატარებენ ე.წ. აქციას" - უთხრა გეა-ს კორესპონდენტს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრმა ზაზა დავითაიამ.

მისი აზრით, ამ ძალებს მომავალი საარჩევნო კამპანიისათვის აქტივში ქულების ჩაწერა სურთ. რაც შეეხება რუსი „მირატვორცების" გაყვანას, ამასთან დაკავშირებით დავითაია აცხადებს, რომ „სმკ დღეს ხელისუფლებაში ყოფნას რუსეთის საოკუპაციო ჯარს უნდა უმადლოდეს".

დავითაიას აზრით, „აქცია ენგურის ხიდთან არის კარგად დადგმული სპექტაკლი". იგი თვლის, რომ აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ ერთი გზით არის შესაძლებელი - უნდა აღდგეს 1991-92 წელს ხუნტის მიერ გაუქმებული კონსტიტუცია, რომლის ძალითაც აფხაზეთი კვლავ საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოექცეოდა. „კონსტიტუციის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შემდეგ" - დასძინა დავითაიამ.

გეა

აფხაზებთან მოლაპარაკება მესამე ძალის გარეშე სჯობს

„ეჭვი არ მეპარება, რომ სამიტის გადადების თაობაზე მოსკოვში გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც შევარდნაძემ განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის სამიტის მუშაობაში" - განაცხადა ენგურის ხიდთან მიმდინარე აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პარლამენტის წევრმა, დავით ტყეშელაშვილმა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი წასვლაზე არ დათანხმდებოდა, მაშინ მოსკოვი მყისვე გამოხატავდა რეაქციას ამაზე, როგორც საქართველოს მცდელობაზე უარი ეთქვა მის წინაშე მდგარი პრობლემების, უწინარესად კი, აფხაზეთის საკითხის ერთობლივად გადაწყვეტის შესახებ. ტყეშელაშვილს მიაჩნია, რომ მოსკოვი მზად არ არის აფხაზეთის საკითხის მიმართ ქმედითი და სერიოზული გადაწყვეტილებები მიიღოს. მისივე აზრით, რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უსუსურობა. „ამდენად, აქცია, რომელიც ენგურის ხიდთან მიმდინარეობს, უფრო მეტ დატვირთვას იძენს და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა მესამე ძალის ჩარევის გარეშე, აფხაზებთან უშუალო დიალოგის გზით მოვაგვაროთ კონფლიქტი აფხაზეთში" - აცხადებს დავით ტყეშელაშვილი.

გეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის სამყაროში

მსოფლიო ჩემპიონატამდე სამ თვეზე ნაკლები დარჩა

ჰოდლს „გაზა“ აღარ სჭირდება

ჩემპიონატში მონაწილე გუნდები შანსს არ უშვებენ ერთად შეკრებისა და საკონტროლო თამაშების ჩატარებისათვის. ყოველი ფეხბურთელი თვალყურის ქვეშ არის.

თვალყურის ქვეშ არისო ვიძახი და ვარსკვლავის ნაკრებში არ გამოძახება ლამის სენსაციის დონეზე აღიქმება. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ინგლისის ნაკრების ბოლო დროის ყველაზე ნიჭიერ და სკანდალურ ფეხბურთელ პოლ გასქოინთან. საქმე იმაშია, რომ 26 მარტს ინგლისის ნაკრები ბერნში შვეიცარიის ნაკრებს შეხვდება. ეს მატჩი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების ერთ-ერთ ეტაპში შედის.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა მატჩის წინა შეკრებაზე 26 ფეხბურთელის გვარი დაასახელა. ამ სიაში არ მოხვდა პოლ გასქოინი. ალბათ ჰოდლმა თუ უწყის რას ნიშნავს ეს. გაჩნდა ეჭვები, რომ ჰოდლი „გაზას“ აღარ ენდობაო, თუმცა გაზას ასე ადრეც მოქცევიან, მაგრამ ბოლო წუთს ნაკრებში უხმობდნენ ოლმე. გასახსენებელია ისიც, რომ ინგლისის ნაკრების ბოლო-დროინდელი წარმატებების უშუალო მონაწილე და სულისჩამდგელი გაზა იყო.

ამავე დროს საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კარგა ხნის შემდეგ ნაკრებში გამოძახებულია ყოფილი ლოთი და ნარკომანი 30 წლის პოლ მერსონი. მისი სახელიც არ არის სუფთა, გაზასნაირად ისიც სკანდალურ ხლართებშია გახვეული. თუმცა „მილსბროში“ ჩინებული სეზონს ატარებს. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰოდლმა მოინდომა მერსონის გასინჯვა და ორი დამთხვეულის გუნდში ყოფნა მან მიზანშეუწონლად ჩათვალა. მით უმეტს, რომ ნაკრებში ორივე ფეხბურთელზე სტაჟიანი ტონი ადამსიც ჰყავს. ჰოდლის მიერ გამოძახებულ ფეხბურთელთა სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: ნაიჯელ მარტინ („ლიდსი“), ტიმ ფლაუერსი („ბლექბერნი“), კევინ პრესმანი („შეფილდ ეუნდსეი“).

მცველები: მარტინ კოუნი, ტონი ადამსი (ორივე „არსენალი“), გარი და ფილ ნევილები („ორივე „მანჩესტერ იუნაიტედი“), გარე სოუთგეიტი („ასტონ ვილა“), რიო ფერდინანდი („ვესტჰემი“), ენდი პინჩკლიფი („შეფილდ უენდსეი“), სოლ კემბელი („ტოტენჰემი“), გრემ ლესო („ჩელსი“).

ნახევარმცველები: პოლ ინსი, სტივ მაკმანამანი (ორივე „ლივერპული“), რეი არლიუ („არსენალი“), დევიდ ბეკჰემი, პოლ ქსოუზი, მიკი ბატი (სამივე „მანჩესტერ იუნაიტედი“), პოლ ნერსონი („მიდლსბრო“), დევიდ ბეტი, რობერტ ლი (ორივე „ნიუკასლი“).

თავდამსხმელები: ალან შირერი (ნიუკასლი“), ენდი კოული, ტედი შერინგემი (ორივე „მანჩესტერ იუნაიტედი“), მაიკლ ოუენი („ლივერპული“), დიონ დაბლინი („ქოვენთრი“).

გერმანიის ნაკრებში კაპიტნის პრობლემა წარმოიქმნა

იურგენ კლინსმანი გერმანიის ნაკრების კაპიტანია. ეს სიტყვები ეკუთვნის ბერტი ფოგთს. რამ ათქმევინა ეს ფოგთს, რამ გამოიწვია გერმანიის ნაკრების კაპიტნობაზე ასე მწვავედ საუბარი? როგორც იცით, კლინსმანი ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელია, და ეტყობა ფეხბურთისათვის თავის დანებებას სულაც არ აპირებს. საქმე იმაშია, რომ კლინსმანს პრობლემები შეექმნა „ტოტენჰემის“ მწვრთნელ კრისტიან როსთან და ძირითად შემადგენლობაში ვერ თამაშობს.

მართალია, იურგენ თავისი საუკეთესო ფორმიდან ჯერ შორს არის, მაგრამ ფოგთსს მისი სჯერა. ამ ცოტა ხნის წინ ტელეინტერვიუში ფოგთსმა განაცხადა, რომ „იურგენ კლინსმანი არის და იქნება ნაკრების კაპიტანი. იგი წარუძღვება გუნდს საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე.“

თვით კლინსმანს განზრახული აქვს სეზონის ბოლოს დატოვოს „ტოტენჰემი“, ვინაიდან ვერაფრით მოურიგდა მწვრთნელს. მისი აზრით, კრისტიანს და მას განსხვავებული შეხედულება აქვთ ფეხბურთზე. პრაქტიკულად მას დღესვე უნდა გუნდიდან წასვლა, მაგრამ ეს თეორიულად შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, კლინსმანს ფოგთსი ბოლომდე ენდობა და მას ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებს სხვა კარგი თავდამსხმელებიც ჰყავთ. ისეთი, როგორიცაა ოლივერ ბირჰოფი, ულფ კირსტენი, ფრედი ბობიჩი და კიდევ სხვები.

ნორვეგიელებმაც დაინყეს

25 მარტს ევროპის 2000 წლის შესარჩევ ჯგუფში, ჩვენი მეტოქე ნორვეგიის ნაკრები ბელგიას ესტუმრება და შეხვდება ბელგიის ეროვნულ გუნდს. ორივე ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება და ბოლოსწინა მზადების ეტაპად აღიქვამს ამ მატჩს. ჩვენთვის საინტერესო ნორვეგიის ნაკრებში ოლდსენმა გამოიძახა შემდეგი ფეხბურთელები:

მეკარეები: თომას გილი, ფროდე გროდასი **მცველები:** ჰენინგ ბერგი, რონი იონსენი, გენარ ჰალუ, ერიკ ჰოპტუნი, და ბენტ სკამელბრუდი. **ნახევარმცველები:** ოივინდ ლეონარდსენი, პიტერ რუდი, სტალე სოლდკენი, და ჰარალდ ფლო. **თავდამსხმელები:** ტონი-ანდრე ფლო, ვიდარ ლისეტი, ოლეგუნარ სოლსკაიერი, ეგილ ოსტერსტადი.

NBA-ს ჩემპიონატში ყველაფერი ირკვევა

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ დასავლეთ კონფერენციაში თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. ხუთმა გუნდმა უკვე მოიპოვა ფლეიოფში თამაშის უფლება. ესენია: „სიეტლი“, „იუტა“, „ლეიკერსი“, „სან ანტონიო“ და „ფინიქსი“. ხოლო დარჩენილ სამ საგზურს, თუ სასწაული არ მოხდა, „პორტლენდი“, „ჰიუსტონი“ და „მინესოტა“ მოიპოვებს. მხოლოდ ერთიღა იქნება გასარკვევი, რომელ ადგილს დაიკავებს ესა თუ ის გუნდი და როგორ დაწყვილდებიან ისინი ფლეი-ოფში.

სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა აღმოსავლეთ კონფერენციაში, თვით ჩიკაგოსაც არა აქვს გარანტირებული საგზური, მაგრამ რეალურად თუ შევაფასებთ მდგომარეობას, ჩიკაგო, ინდიანა, მაიამი და ატლანტა თითქმის გასულები არიან. სამაგიეროდ დარჩენილი გუნდების ვინაობა არავინ უწყის. ამ კონფერენციაში ფილადელფიისა და ტორონტოს გარდა ყველას შეუძლია მოიპოვოს ფლეი-ოფების საგზურები.

ქართულ ფეხბურთს შველა უნდა!

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას
საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ ნიკო ლეკიშვილს
საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ კახი ასათიანს
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ალექსანდრე ჩივაძეს

განცხადება

ბატონო ედუარდ, დავით აღმაშენებლის პარტია იშვიათად გაწუხებთ, მაგრამ ფეხბურთი დღეს ქართველი კაცისათვის ისეთი ატრიბუტია, როგორც ჰაერი და წყალი, ამიტომაც გაწუხებთ. ჩვენ გვჯერა თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერისა. ამიტომაც მოგმართავთ ვრცელი განცხადებით, საიდანაც ნათლად ჩანს ქართული ფეხბურთის სატკივარი.

საქართველოში ფეხბურთი კონკურსგარეშეა. ქართული ფეხბურთის ამოუცნობ ფენომენს დღემდე თითქმის არ ჰქონია შესაძლებლობა სრულად წარმოჩინა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი. საერთაშორისო არენაზე მოპოვებული რამდენიმე წარმატება საქართველოში ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის აღზევებას დუკავშირდა. 1990 წელს 15 თებერვალმა ეს ყოველივეს წერტილი დაუსვა. მალე ქართულ ფეხბურთს მიეცემა შესაძლებლობა მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ ძალა შესწევს ჭიდილისა. ამისათვის კი საჭიროა ხელისუფლებამ ყოველნაირად ხელი შეუწყოს თითქმის ჩამკვდარი ქართული ფეხბურთის აღორძინების მეტად საშვილთამშვილო საქმეს. ამისათვის უნდა იზრუნონ ფეხბურთელებმა, ფეხბურთის სპეციალისტებმა და იმათაც კი, ვისაც ერთხელ მაინც დაურტყამს ბურთზე ფეხი ან ერთი წამითაც უყურებია ქართველი ვარსკვლავების ფეხბურთის თამაშს და სამუდამოდ ჩაუდია გულში ქართველი კაცისა და ბურთების სიყვარული.

ბატონო ედუარდ, დღეს ყველა სფეროში გაჭირვებაა. რაც შეგვიძლია, ვითმენთ, მაგრამ მოთმინებასაც ხომ თავისი საზღვარი აქვს; მაშინ როდესაც საქმე ეხება ქართულ ფეხბურთს, რომელიც ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ქართველი კაცისათვის მარტო ფეხი და ბურთი როდია. ის ქართველი კაცის რაინდობის, სულისა და ვაჟკაცობის გამოვლინებაა. ქართულმა ფეხბურთმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ყოველთვის სიყვარულით, მონდომებით ემსახურებოდა ქართველი ერის დიდების მეტად კეთილშობილურ საქმეს. ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებმა: ბორის პაიჭაძემ, სლავა მეტრეველმა, მიხეილ მესხმა, კახა ასათიანმა, მურთაზ ხურცილავამ, თენგიზ სულაქველიძემ, რამაზ შენგელიამ, სერგო კოტრიკაძემ, ბორის და გიორგი სიჭინავებმა, დავით ყიფიანმა, ვლადიმერ გუცაევმა, ალექსანდრე ჩივაძემ და სხვებმა ხომ მსოფლიო სახელი მოუტანეს ქართველ კაცსა და მის ქვეყანას.

ქართულმა ფეხბურთმა არაერთგზის დაამტკიცა, რომ ის მარტო თამაში კი არაა, არამედ პოლიტიკაცაა, სიცოცხლეცა და მთელი ცხოვრებაც. სამწუხაროა ის, როდესაც თბილისის „დინამო“ თამაშობს და ტრიბუნაზე არცერთი მაყურებელი რომ არ არის. საქმე მართლაცდა, რომ სატირლად გვაქვს. ქართული ფეხბურთი დაიღალა უპატრონობით, შიმშილით, უსანგო დავით და კამათით. ყველა ყველას ებრძვის, ერთმანეთს არ ინდობენ. ყველაზე უფრო ის ადამიანები აქტიურობენ, ვისაც ქართულ ფეხბურთში იოტისოდენაც არაფერი გაუკეთებიათ, მაშინ, როდესაც ფეხბურთის ჭეშმარიტი გრანდები დუმან, ჩრდილში არიან ყველასგან მიტოვებულნი და მიუსაფარნი.

ბატონო ედუარდ, ძალიან კარგი იყო თქვენი ბრძანებულება ფეხბურთის განვითარების შესახებ. კერძოდ, კარგია იდეა ფეხბურთის განვითარების ათწლიანი პროგრამის შემუშავება. მაგრამ ყველაფერი ეს კუს ნაბიჯით მიდის. ჩემი აზრით, სანამ შესაბამისი ორგანოები ამ პრობლემას შეიმუშავებენ ქართული ფეხბურთი მკვდარი იქნება. საჭიროდ მიგვაჩნია ფეხბურთის რეფორმის უსწრაფესად დაწყება. დავით აღმაშენებლის პარტიას უპირველეს ამოცანად მიაჩნია ფეხბურთის ფედერაციის რეორგანიზაცია. კერძოდ, ფეხბურთის მართვის საჭეებთან კომეტენტური ადამიანების მიყვანა. განსაკუთრებით უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვთა ფეხბურთს, სადაც უდიდესი ანარქია და გაჭირვება სუფევს. ავიღოთ თუნდაც „ნორჩი დინამოელის“ ბაზა, რომელიც საქართველოში ითვლება უპირველეს არენად. „ნორჩი დინამოელები“ ღვთის ანაბარა არიან მიტოვებული, მაშინ, როდესაც იქ მოღვაწეობენ უდიდესი ფეხბურთის მოღვაწენი და მამულიშვილნი, როგორებიც არიან: ბატონები ოთარ გეგეჭკორი, ბორის სიჭინავა, ზორბეგ ებრალიძე, ნოდარი ხიზანიშვილი, ფირუზა კანთელაძე, ოლარ ვაშაკიძე, ავთანდილ ქანთარია, რამაზ ურუშაძე და სხვები. ეს ადამიანები ჭეშმარიტი გმირები არიან. ისინი დღე და ღამე წვიმაში, ქარში, თოვლსა და ჭყაპში შრომობენ. მაშინ, როდესაც მათი სპორტული ბაზები, მოედნები ალბათ წინა საუკუნის დონეზე დგას. ბავშვებს ელემენტარული სათამაშო მოედანიც კი არ გააჩნიათ. ის კი არა, წლების მანძილზე მთავრობის მიერ სავსებით კანონიერად გადაცემული შენობიდან მოსახლეები ვერ გაუყვანიათ, საშუალებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ხშირია ტრავმები: მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ეკვენი ხარაძის შვილიშვილმა ხელი მოიტეხა, ყველა ქართველისათვის საყვარელი ფეხბურთელის შოთა იამანიძის შვილიშვილმა ტვინის შერყევა მიიღო. თვლა არა აქვს ფეხის, ხელის და სახის ჭრილობებს. ბავშვების უმეტესობას ფილტვები სავსე აქვთ ქვიშით. ჩვენს მტერს, პატარა ქარი თუ წამოვიდა, საფეხბურთო მოედნებზე ისეთი კორიანტელი დგება, მტერს უარქცი. ამ დროს მთელი მოედნები გაჭედილნი არიან ჩვენი ერის მომავლებით. ვისთვის ვამენებთ ჩვენ სახელმწიფოს, თუ ჯანმრთელი მემკვიდრეები არ გვეყოლა?!

ბატონო ედუარდ, სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზი იმისა, რომ ქართული ფეხბურთის გადარჩენის მიზნით ფეხბურთისა და საზოგადოების ცნობილი პიროვნების ინიციატივით შეიქმნა ბავშვთა საერთაშორისო ფეხბურთის აკადემია, რომლის საპატიო პრეზიდენტად დაუსწრებლად ერთხმად თქვენ აგირჩიეს. შემდეგ რამოდენიმეჯერ წერილით მოგმართეს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თქვენგან პასუხი არ ჩანს. ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა ბავშვთა საერთაშორისო ფეხბურთის აკადემის განცხადება დაწერა ქალაქის მერს ბატონ ბადრი შოშიტაიშვილს, რომელმაც დაავალა ქალაქის პრემიერს ბატონ ზურაბ ბიბილეიშვილს შეექმნა კომეტენტური კომისია. ბატონმა ზურაბ ბიბილეიშვილმა შექმნა 15-20 კაცისაგან კომისია, რომელმაც ადგილზე ნახა საფეხბურთო მოედნის ტერიტორია და სიტყვიერად დათანხმდა მის გამოყოფაზე. ასევე შეთანხმდნენ იქ მოჭრილი გადაბერებული, ამორტიზირებული ხეების ნაცვლად კარგი, უმაღლესი ხარისხის ნაწვავანების დარგვაზე. ამის შემდეგ, რადგან ბავშვების ვარჯიში ნორჩი დინამოელის ბაზაზე ბავშვების ჯანმრთელობისათვის საზიანო იყო, მშობლებმა პირადი ინიციატივით, რადგან ქალაქის მერისაგან სიტყვიერი თანხმობა მიღებული იყო, დაიწყეს საფეხბურთო მოედნის მოწყობა. სწორედ ამის შემდეგ ატყდა ათასგვარი ცილისმწამებლური წერილების წერა ზემდგომ ორგანოებში ვითომდაც ათეული ჰექტრობით დიღმის ტყე-პარკის ფიჭვნარი და ნაძვნარი განადგურდა, ვითომდაც შენდება ფაცხები და კოტეჯები. ცილისმწამებლები იმასაც წერენ, ვითომდაც ტყე-პარკში შეჭრილიყვნენ ბულდოზერები და ტრაქტორები და ა. შ. მაშინ, როდესაც საქმე ეხება სულ 3000 კვ. მიწას, რომელიც ტყე-პარკს კი არ ეკუთვნის, არამედ გაბწვანების სანერგე მეურნეობას, სადაც მოიჭრა 30 ამორტიზირებული, გადაბერებული ალვის ხე და თხუთმეტიოდე უჯიში გადაბერებული ხე, რომელთა ღირებულება არაფერია, შეშადაც კი არ გამოიყენება. ასე რომ, ქართველი ბავშვების ჯანმრთელობის გადარჩენის მიზნით დაწყებული მეტად კეთილშობილური მამულიშვილური საქმე ჩიხში მოექცა (ანდა რაც არ უნდა ღირებულებისა იყოს მოჭრილი ხეები, თუნდაც თავისი წონა ოქროს ფასი იყოს, ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობაზე მეტი და უკეთესი მაინც არ არის).

ბატონო ედუარდ, უმორჩილესად მოგმართავთ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს და ფეხბურთის უდიდეს გულშემატკივარს, დაავალოთ თქვენს მიერ 25 თებერვალს შექმნილ საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამის შემმუშავებელ სახელმწიფო კომისიას ოპერატიულად შეისწავლოს ზემოთ აღნიშნული საკითხი და სასწრაფოდ შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღძრულია მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავის, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს იუნიორთა და ჭაბუკთა ეროვნული ნაკრებების მთავარი მწვრთნელის, ღირსეული მამულიშვილისა და ერისკაცის თენგიზ სულაქველიძის წინააღმდეგ, თორემ გავხდებით მსოფლიოში სასაცილო ქვეყანა. აბა, კურიოზი არ არის, რომ ასეთი დიდი მსოფლიო კლასის სპორტსმენი უფასოდ, ყოველგვარი სახელმწიფო ხარჯების გაღების გარეშე ბავშვების გადარჩენისა და აღზრდის მიზნით საფეხბურთო მოედანს აკეთებდეს და შენ კი მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდე! ამაზე მეტი ბედის ირონია იქნება რამე? კომისიამ აგრეთვე დეტალურად შეისწავლოს ჩვენს მიერ დაყენებული საკითხები. თუ ჩვენ მივხედავთ ბავშვთა ფეხბურთს, გადარჩება ქართული ფეხბურთიც, რომელიც, კიდევ ვიმეორებთ, ქართველი კაცისათვის მარტო ფეხი და ბურთი როდია. ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი ფეხბურთის ვეტერანებს, რომლებმაც თავისი სისხლისა და ოფლის ფასად აქამდე მოიტანეს მსოფლიოში ცნობილი დიდი ქართული ფეხბურთი.

იმედია, ბატონო ედუარდ, როგორც ყოველთვის, ახლაც უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს განცხადებას და გაატარებთ ოპერატიულ ღონისძიებებს, რათა ვიხსნათ ქართული ფეხბურთი, ჩვენი მომავალი, ბავშვები.

რიონ ლიპარტელიანი
დავით აღმაშენებლის პარტიის
თავმჯდომარე, აკადემიკოსი

სენსაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითი და რეალობა რუსეთის ისტორიის შესახებ ანუ რუსები სულაც არ ყოფილან რუსები?..

მეხუთე გვერდიდან

შევიდა ხაზარეთის შემადგენლობაში. ჩრდილოეთით აღმოსავლეთ სლავთა განსახლების საზღვარი ხდება ტბათა მხარის დასავლეთ ნაწილი (კრივიჩები, სლოვენები IX ს-ის შუახანებიდან), სადაც ხდება მათი ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან — ბალტებთან და ფინელ-უგორებთან.

XI-XII საუკუნეებშიც კი ბალტები აღმოსავლეთით აღწევდნენ მოსკოვის, ტვერის და კალუგის ოლქებს. სადაც ისინი ოდითგანვე ბინადრობდნენ მხარის აბორიგენებთან ფინელ-უგორებთან ერთად. რიაზანი XIII საუკუნეშიც კი მორდვას მთავარ ქალაქს წარმოადგენდა (თვით სახელწოდება ერზია. სწორედ აქედან წარმოდგება სახელწოდება ერდზან — რიაზანი).

მოსახლეობის ეს მასა (იმ დროისათვის ძალზე დიდი) მოყოლებული VII-VIII საუკუნიდან თანდათან იერთებდა სლავურ ტომთა სუსტ ნაკადებს, რომლებიც ითვისებდნენ მათ წეს-ჩვეულებებს, ყოფას, ენას. თანამედროვე რუსთა ენა ნარევია ირანული, თურქული და საკუთრივ სლავური ენებისა.

პოლონეთში, სერბეთში, ჩეხეთში, სლოვენიაში, დასავლეთ უკრაინაში მოხვედრილი რუსისთვის იქაური ენა გაუგებარია, სწორედ ესაა სლავური ენა, იგივე დასავლეთ უკრაინული მას თავისუფლად აღიქვამს.

პოლესიეში, დნეპრისპირეთსა, დნეპრის მარცხენა სანაპიროსა და სევერსკი დონეცკზე ირანული ეთნიკური ელემენტები და უხვი ირანული ტოპონიმიკა, თუმცა კი თურქიზებული, არსებობას X-XIII საუკუნეებამდე განაგრძობს, მიუხედავად იმისა, რომ განიცადა უძლიერესი გავლენა IX საუკუნის დასაწყისში მოსულ როსთაგან!

თუკი ჩვენ ვეცდებით, განვიხილოთ აღმოსავლეთის სლავები, როგორც ერთიანი რასა (IX-XII საუკუნის აღმოსავლეთის სლავთა სამარხებიდან) მივალთ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთის სლავთა ერთიან რასაზე საუბარიც კი ზედმეტია, მეტიც, გაბატონებული ტიპი მონღოლიდურია. შენიშნეთ, ბევრად უფრო ადრე (რამდენიმე საუკუნე) მონღოლთა შემოსვლამდე, მაგრამ სულ სხვა სურათს გვაძლევს მთავართა რაზმების, კიევის, ნოვგოროდის მცხოვრებთა, თვით მთავართა ნაშთები იქ გაბატონებული ტიპია ევროპოიდული. მიზეზს ქვემოთ მოგახსენებთ.

IX ს-ის დასაწყისში ტბების მხარეში (დასავლეთ დვინის აუზი, ტბა ილმენი, ვოლხოვა, ლუგი და სხვა) თანამედროვე სანკტ-პეტერბურგის, ფსკოვის, ნოვგოროდის, კალინინის, ვოლოგდის ოლქებში ბინადრობდნენ ფინელ-უგორთა ადგილობრივი ტომები (ჩუდი, ვოდი, იჟორა, ვეფსები). ამ რაიონის მთავარ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა გამაგრებული ქალაქი ლათინურად Laatokka (ფინ), ანუ Aldiigjuborg (ძვ. სკანდ). (თანამედროვე რუს. ლადოგა), რომელიც მდინარე ვოლხოვზე იდგა.

და მხოლოდ IX ს-ის შუა ხანებში ჩნდება ტბების მხარის ტერიტორიაზე კრივიჩთა და სლოვენთა სლავური ტომები. მაგრამ მალე ისინი ფინელ-უგორებთან ერთად სახლდებიან ტბების მხარის სამხრეთ-დასავლეთში და ტბა ილმენზე. (Ilnjäru — ესტ-თინ — ამინდის (გამკეთებელი) ტბა). ჩნდება მხარის ახალი ცენტრი ნოვგოროდი (Novgarda ძვ. სკანდ.) (IX ს-ის მიწურული — X ს-ის დასაწყისი). ამავე პერიოდში ბიზანტიასა და ნორმანებს შორის ვაჭრობის სწრაფი ზრდის კვალობაზე ძლიერდება ამ რეგიონის უძველესი ქალაქი ფსკოვი (Piisk-va — ფინ. გაფისული).



კიდევ რამოდენიმე სიტყვა ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის ტოპონიმიკის შესახებ. იგი მთლიანად ფინურ-უგორულია.

ნევა ფინურად ჭაობიან მდინარეს ნიშნავს, ვოლგა, ისევე როგორც ვოლხოვი — ძველფინური Olhava — ქვემო, გზა ქვემოთ. მოსკოვი წარმოდგება ფინური სიტყვა წყლისაგან, ხოლო ოკა (joki) ფინურად მდინარეს ნიშნავს და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ კიევი დაარსებულ იქნა თურქ-ყივჩაღების მიერ IV-V საუკუნეებში.

უკვე VIII საუკუნეში დღევანდელი რუსეთის სამხრეთისა და უკრაინის ტერიტორიაზე არსებობდა თურქულ-ებრაული, იუდეური სახელმწიფო, ხაზარეთის ნაკანატი. თანამედროვე რუსეთის ჩრდილოეთი დასახლებული იყო ამ მხარის აბორიგენი მოსახლეობით — ფინელ-უგორებით. სლავები კი ეს-ესაა (ისტორიული მასშტაბით) იწყებენ დასახლებას ამ რაიონში.

ამგვარად „რუსი" ხალხის სლავურ (წარმომავლობაზე) საუბარი არცთუ კორექტულია. თავის დროზე მ. პოკროვსკი წერდა, რომ „ველიკორუსთა" ძარღვებში 80% — მათი (ე. ი. ფინელ-უგორების) სისხლი ჩქეფს. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის ძირითადი მასა რუსეთს შეერწყა სამხრეთის ოლქთ ხარჯზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ველოკოროსთა ძარღვებში ჩქეფს მაქსიმუმ 1%-ს სლავური სისხლი, ხოლო მათი საერთო წარმომავლობაა — თურქმომთაბარენი (ყივჩაღები), ხაზარები, თათრები, მონღოლები, ფინელ-უგორები, ებრაელები და სხვა.

რამდენიმე სიტყვით ხაზართა სახაკანოს შესახებ. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ეს იუდეური სახელმწიფო მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. იგი ღირსეულ მეტოქეობას უწევდა ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს. VIII საუკუნის შუახანებიდან ებრაელთა უზარმაზარი რაოდენობა გადასახლდა ხაზარეთში, ირანსა და ქრისტიანული ქვეყნებიდან, სადაც მათი დევნა დაიწყო, და სწრაფად დასახლდნენ ხაზარეთის, განსაკუთრებით ყირიმის ქალაქებში. (მათი შორეული შთამომავლები **кримчаки**). ხაზარეთის ხაკანები ემოყვრებოდნენ ბიზანტიის იმპერატორებს. იმპერატორმა კონსტანტინემ იქორწინა ხაკანის ქალიშვილზე, ხოლო ლევ IV ისტორიაში ცნობილია ხაზარინის სახელით. ბიზანტია და ხაზარეთი ერთობლივ წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებს და პაჭანიკთა აღმოსავლეთ ბრბოებს.

ვლადიმერ ხვედელიძე

გაგრძელება იქნება

რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და სომხები საქართველოში

ის, ვინც რუსეთის საგარეო პოლიტიკის საკითხით დაინტერესდება, საშუალო ინტელექტის მქონე არასპეციალისტიც კი თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების საფუძველზე ძალდაუტანებლად მივა იმ დასკვნამდე, რომ 1801 წელს, როცა რუსეთის იმპერიამ ძალით შეიერთა საქართველო და თავის პროვინციად აქცია, ეს გახლდათ გაბედულად გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოყოლოდა რუსეთის გაბატონება კავკასიაში.

საქართველო ამ რეგიონში როგორც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, წიაღისეულით, ბუნებრივი სიმდიდრით და სილამაზით მრავალგზის გამორჩეული იყო კავკასიის სხვა კუთხეებისაგან, ამიტომაც შეიქნა იგი რუსეთის სამიზნედ. საქართველო, კერძოდ თბილისი, გახდა კავკასიის ცენტრი, სადაც იჯდა მეფის ნაცვალი — კავკასიის მთავარმმართველი. აქ იყო თავმოყრილი სამხედრო და სამოქალაქო მნიშვნელობის მსხვილი დაწესებულებები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და აქედან იმართებოდა მთელი კავკასია. მაშასადამე, საქართველო უნდა ქცეულიყო რუსეთის განუშორებელ ნაწილად, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ „გუბერნიად" და რუსეთის საგარეო პოლიტიკაც სწორედ ამის გათვალისწინებით წარმართა. დაიწყო მცდელობა ქართველთა გარუსებისა, რომლის ტემპი და მასშტაბები არ შეცვლილა და შესუსტებულა მე-20 ს-ის ათეულ წლებამდე (აღარას ვამბობთ ზრუნვის ფორმით შენილებულ საბჭოთა რუსეთის იგივე პოლიტიკაზე).

რუსი პოლიტიკოსებისათვის სასურველი შედეგის მისაღწევად საჭირო იყო ქართველი ერის დაქუცმაცება, მისი რიცხობრივი შემცირება, გადაგვარება, გარუსება და საბოლოო განადგურება. ამისათვის რუსეთის მთავრობამ მიმართა ვერაგულ პოლიტიკას. დაიწყო ფარული დემოგრაფიული ომი. შეუდგა უცხო ტომის ხალხთა ჩამოსახლებას საქართველოში. პირველი მერცხლები გერმანელები იყვნენ, შემდეგ კი სომხები. ამ უკანასკნელთ ბევრი უსიამოვნება მიაყენეს საქართველოს ქართველებთან თანაცხოვრების დროს გამოვლენილი კონფლიქტების, განუზომელი პრეტენზიების და თავხედური მოთხოვნების სახით.

გაზ. „ივერია" ეყრდნობა რა ზეპირგადმოცემას, აღნიშნავს, საქართველოში სომხები თამარ მეფის დროს დასახლებულან. თავიანთი ცხოვრება ქართველთა ზნე-ჩვეულებებზე აუგიათ და ისე დამსგავსებიან ქართველებს, რომ მათგან გამორჩევა ჭირდა. ლაპარაკი, წერა-კითხვა, ჩაცმა-დახურვა, ლოცვა ქართველთა მსგავსი ჰქონიათ. ქართველ-სომეხთა ეპისკოპოსი ქართველთა მეფისაგან ინიშნებოდა და მისი საცხოვრისი ძველი ქართული მონასტრები ახპატი და სანაინი ყოფილა (ვ. ბატონიშვილის ცნობების მიხედვით). როგორც გაზ. „ივერია" წერს, XVIII ს-ის II ნახევრიდან ამ მონასტრებს სომხები დაპატრონებიან (1902, 149).

მე-17 ს-ში შაჰ აბასის მიერ აწიოკებული ლტოლვილი სომხები მთელი ევროპის დაბა-ქალაქებს მოედვნენ. ნაწილი საქართველოში დარჩა. მე-17-18 სს-ში ჩასახლებული სომხებიც ისე გაქართველებულან, როგორც თამარ მეფის დროინდელი. მათ სარწმუნოებისა და ვაჭრობისადმი ლტოლვა შეუნარჩუნებიათ მხოლოდ. სააღებმიცემო წიგნები ქართულად ჰქონიათ შევსებული, ქადაგებასაც ქართულად ისმენდნენ.

საქართველოში სომხების ჩასახლებას დიდად შეუწყო ხელი პასკევიჩმა. 1862 წელს, როცა პასკევიჩმა დაამარცხა აბას მირზა და აიღო სპარსეთის სომხეთი, მრავალმა სომეხმა თავშესაფარი საქართველოში ჰპოვა. პასკევიჩმა, არქიეპისკოპოსმა ნერსესმა, პოლკოვნიკმა ნაზარევმა და პოდპოლკოვნიკმა არღუთინსკი დოლგორუკმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს სომხები საქართველოში დაესახლებინათ. ჟურნალ „მოამბის" (1899, 4) ცნობით, სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას მირზა აყვედრიდა ნერსესს, ძალით მიგყავთ ამდენი ხალხი სამშობლოდან, ატყუებთ მათ, მღვდლებს გაკრეჭვით და ეკლესიიდან გაგდებით ემუქრებით, თუ სპარსეთიდან არ გადმოსახლდებიანო.

შემდეგი ხანა სომხების მასიურად ჩასახლებისა საქართველოში დაკავშირებულია კვლავ პასკევიჩის სახელთან. ეს მოხდა რუსეთ-თურქეთის ომის დროს ადრიანოპოლის ხელშეკრულების (2-IX-1829 წ.) შემდეგ. 1830 წელს პასკევიჩმა იმპერატორს წერილობით მოახსენა: ნება მოგვეცით გადმოვასახლოთ საქართველოში სომხობა, თორემ ოსმალები მათ სულ ამოწყვეტენ იმისათვის, რომ ომის დროს სომხები ჩვენ გვიმართავდნენ ხელსო. ამ დროს ოსმალეთიდან გადმოსახლდა, როგორც პრესა იუწყება, 12.655 ოჯახი, დაახლოებით 76.000 სული (ჟ. „მოამბე" 4, 1899). მაგდა ნეიმანის ცნობით მათი რაოდენობა 90.000 იყო, ხოლო გაზ. „ცნობის ფურცელი"-ს მიხედვით 100000-ზე მეტი. აქედან დიდი ნაწილი დაბინავებულან ჯავახეთის საათაბაგოში, სადაც იმ დროისათვის 90% ქართველობა ცხოვრობდა.

დიდძალი სომეხი გადმოსულა ამიერკავკასიაში ყირიმის ომის დროს 1853-54 წლებში. ასევე 1876-77 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ. და ოსმალეთის მიერ დაწიოკებულნი 1894-97 წლებში. ასევე შემახიაში მომხდარმა მიწისძვრამ მრავალი სომეხი მიიყვანა თბილისის გუბერნიაში („ცნობის ფურცელი", 1902, 1892).

რუსეთის მფარველობით და აქტიური ჩარევით სომხების რიცხვი ისე გაიზარდა, რომ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში რიცხობრივი და ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვეს. მაგ., ძველად ბორჩალოს მაზრას საქართველოს სომხითს უწოდებდნენ. მის 10 სოფელში მაშინ უმრავლესობას ქართველი მკვიდრი შეადგენდა. ჰქონდათ ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, მონასტრები. 1902 წლის „ივერიის" ცნობით ქართველთა რიცხვმა ისე საგრძნობლად იკლო, რომ იმ ტაძარ-მონასტრებიდან ბევრი უკვე სომხებმა ჩაიგდეს ხელში, თვით საეპისკოპოსო ტაძარიც ბოლნისიც კი, სადაც სომხური ენა გააბატონეს. (1902, 147; 1903, 95).

კათოლიკოსმა კირონმა თავდაუზოგავი მეცადინეობით და თავისი ავტორიტეტით შესძლო, ქართული ენა გაებატონებინა არა მარტო ეკლესიაში, არამედ მთელ საქართველოს სომხითში. სომხების მომრავლებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თვისტომებმა მათზე ბევრი იზრუნეს — მდიდარი სომეხი ვაჭრები ბედოვლათი ქართველი მებატონეებისაგან მამულებს იძენდნენ და მათზე ღარიბი სომხების მთელ არმიას ასახლებდნენ. „ასე რომ ბორჩალოს მაზრა ქართველობას ხელიდან ნაუვიდა" — აღნიშნავდა „ივერია" და გულმხურვალედ მოუწოდებდა ერს ყურადღება მიექცია ამ მაზრისათვის.

გაზეთებს — „ივერიას", „ცნობის ფურცელს", „კავკაზს" და სხვა პროგრესულ რუსულენოვან გაზეთებს კანონიერ და ნორმალურ მოვლენად არ მიაჩნდათ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში უცხო ტომების ხალხის მომრავლება-დასახლება. ისინი ამას დაუფარავად აცხადებდნენ. არც ცდებოდნენ, რადგან ასეთ პირობებში გარდაუვალია ინტერესთა დაპირისპირება და ერთა შორის შუღლის გაღვივება, რასაც ასე ესწრაფოდა და დღესაც ესწრაფვის დიდი რუსეთის მთავრობა, რომლის ბინძური ხელი ყველგან წვდება და ბილწავს ყველაფერს. საგარეჯოში ასეთი რამ მოხდა: მის ახლომახლო სოფლებში ქართველებთან ერთად 300 კომლი სომეხი სახლობდა. რუსეთის მთავრობამ, ყოველგვარი თხოვნის გარეშე სომხებს „გაუწესა ტერტერა", რითაც ძალაუნებურად დააშორა ერთმანეთს „მამა-პაპათაგან" შეერთგულებული" მშვიდად და სიყვარულით მცხოვრები ეს ორი ტომის ხალხი — წერდა „ცნობის ფურცელი".

მთავრობის მხარდაჭერით და ბიძგით წათამამებული სომხები ადვილად ივიწყებდნენ ქართველთა მეგობრობას. გაჭირვების ჟამს მათთვის საშველად გამოწვდილ ხელს და პრეტენზიას აცხადებდნენ ადგილობრივ მკვიდრზე მეტ უფლებებსა და უპირატესობაზე. ყველაფრიდან ჩანდა, რომ საქართველო იყო რუსეთისაგან ოკუპირებული, ტერიტორიას ფლობდა რუსეთი, საკუთარ მიწა-წყლად მიაჩნდა იგი და სურვილისამებრ არიგებდა ჩამოსახლებულ ნებისმიერი ეროვნების ხალხზე ქართველთა შევიწროების და მათი უფლებების იგნორირების ხარჯზე.

[illegible] ქართველოს [illegible] რუსულენოვან პრესაში იბეჭდებოდა ხოლმე ცნობები მოსახლეობის აღწერათა შესახებ. შეიძლება ითქვას ყველა ეს აღწერა ტენდენციური იყო (იგი რუსი და სომეხი მოხელეების ხელმძღვანელობით ტარდებოდა) და მიზნად ისახავდა ქართველთა რიცხობრივი თუ ტერიტორიული უპირატესობის დაკნინებამიჩქმალვას, რადგან ეს გახლდათ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საქართველოს გასანადგურებლად შემუშავებული უკვე ცნობილი რუსეთის „დიდი პოლიტიკისა". დოკუმენტები გროვდებოდა. გაზ. „ივერიამ" ამხილა ამ აღწერათა სიყალბე, და უარყო შეუსაბამო დასკვნები. ერთ-ერთი ადრეული — 800-იანი წლების I ათეულის — აღწერის თანახმად ქ. თბილისში 120 000 სომეხი ცხოვრობდა და 2000 ქართველი. ამის საფეძველზე სომხები წლების მანძილზე პრეტენზიას აცხადებდნენ ქალაქის კუთვნილებაზე. გასაკვირიც არ იყო ეს გაუგონარი თავხედობა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთელი 100 წლის მანძილზე ქალაქს თვითმმართველობაში ხელმძღვანელი პოსტი სომხებს ეკავათ. ყოველივე ამის გათვალისწინებით „ივერია" წერდა: „ეს აღწერა მაშინ გაკეთდა, როცა აღა მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ ქართველებმა თავი შეაკლეს თბილისის დაცვას, სომხები კი მთებში გაიხიზნენ და უკან დაბრუნებულებმა თავიანთი ნათესავები გამოისყიდეს და თბილისში დასახლდნენ. ახლა, 1900 წლის აღწერით ქართველთა რიცხვი სომხებისას გაუთანაბრდაო" (1900, 198).

1886 წლის კომლეულთა აღწერა ფრიად შემაშფოთებელი იყო. იმის მიხედვით: თბილისის გუბერნიაში ქართველობა საერთო მოსახლეობის 49%-ს შეადგენდა, სომხობა კი 51%-ს.

1889 წლის აღწერის მიხედვით ახალქალაქში აღმოჩნდა 94% სომეხი, ახალქ. მაზრაში კი 58%; ახალციხეში — 60%, ბორჩალოს მაზრაში — 33%, დუშეთში 57%, თვით თელავში 81%... „სამი მაზრა თითქმის საქართველოს აღარ ეკუთვნის, ტერიტორია სხვამ დაიკავა, ქალაქებიც სხვისია..." გულმოკლული აღნიშნავდა ჟურნ. „მოამბე" (1899, 4).

„ტიფლისკი ნასტოლნი კალენდრის" შემდგენელ-გამომცემელმა

გაგრძელება მე-11 გვ

საზღვრები

„ცისფერი მხედარის“ შემადგენლობიდან ყველაზე უფრო გამოვარჩევ ორ დიდ ფიგურას, რომლებიც ეროვნებით რუსები კი იყვნენ, მაგრამ მოღვაწეობდნენ, როგორც ორი დიდ თანამგზავრი გერმანული ხელოვნებისა. ესენი იყვნენ ალექსეი იავლენსკი (დაბადებული 1864 წელს) და ვასილ კანდინსკი (დაბადებული 1864 წელს კუსლოვოში). 1896 წელს ისინი მიუნხენში ერთ-



მანეთისაგან დამოუკიდებლად ჩავიდნენ. ისინი მიუნხენში ძალიან სწრაფად „გაშინაურდნენ“ და შეიძლება კიდევ დიდხანსაც დარჩენილიყვნენ, რომ პირველი მსოფლიო ომის გამო არ ყოფილიყვნენ იძულებულნი გერმანია დაეტოვებინათ. კანდინსკი 1914 წელს მოსკოვში დაბრუნდა, იავლინსკი გადასახლდა შვეიცარიაში. 1921 წელს ისინი კვლავ გერმანიაში ჩადიან, კანდინსკი ჩერდება ბერლინში, საიდანაც ის შემდეგ წელს „ბაუჰაუზში“ ვაიმარში მიდის, იავლენსკი კი ვისბადენში ჩადის, სადაც ის სიკვდილამდე (1941 წლამდე) რჩება. კანდინსკი „ბაუჰაუზთან“ დაკავშირებულია 1933 წლამდე, ხოლო შემდეგ ის ნოილსურ-საინეში სახლდება, სადაც 1944 წელს გარდაიცვალა.

ორივე, კანდინსკიცა და იავლენსკიც, შედარებით გვიან მოვიდნენ ხელოვნებაში. კანდინსკი განათლებით იურისტი იყო და მოსკოვში ხელოვნების გამომცემლობას ხელმძღვანელობდა. იავლენსკი იყო მეფის კავალერიის ოფიცერი, რომელიც ხატვას პეტერბურგის აკადემიაში ილია რეპინის კლასში სწავლობდა. მიუნხენში ისინი ეცნობიან ერთმანეთს ანტონ აცბეს სახვით სკოლაში და დამეგობრდებიან. კანდინსკი მცირე დროის შემდეგ გადადის აკადემიაში ფრანც ფონ შტუკთან სამუშაოდ და როგორც კერძო ხელოვნების სკოლის მასწავლებელი, მხატვართა გაერთიანება „ფალანქსში“ მოღვაწეობს, რომლის მდივანიც ხდება. 1902 წლიდან იავლენსკი მოღვაწეობს დამოუკიდებლად.

იმ თანამგზავრებიდან, რომლებიც „ცისფერი მხედარის“ გარშემო შემოიკრიბნენ, ერთ-ერთი პირველები იყვნენ ფრანც მარკი (1866 წელს დაბადებული), მიუნხენელი ავგუსტ მაკე (დაბ. 1887), პაულ კლეე (დაბადებული 1879), რომელიც წარმოშობით ბერნის შემოგარენიდან იყო, სადაც მისი მამა კანტონალურ მასწავლებელთა სემინარიაში მუსიკას ასწავლიდა. მისი მამა იყო გერმანელი, დედა შვეიცარიელი. პაულ კლეე პირველად მიუნხენში 1898 წელს ჩამოვიდა, სადაც ის კნირთან და შტუკთან სწავლობდა. ის ცოტა ხნით ბერნში ჩადის, მაგრამ 1906 წელს კვლავ მიუნხენში ბრუნდება. 1922 წელს ვაიმარში ის ისევე, როგორც კანდინსკი, მიწვეული იყო „ბაუჰაუზში“. 1930 წელს მას იწვევენ დიუსელდორფის აკადემიაში, 1933 წელს იგი მიდის ემიგრაციაში შვეიცარიაში, სადაც 1940 წელს გარდაიცვალა.

ჯგუფი „ცისფერი მხედარი“ გამოდის ბევრად უფრო განსაზღვრული შემადგენლობით, ვიდრე ჯგუფი „ხიდი“. ის, რამაც ხელი შეუწყო მათ გაერთიანებას, იყო საერთო იდეალები, მონაწილეობა ალმანახში „ცისფერი მხედარი“ რომელმაც განსაზღვრა ამ ჯგუფის სახელწოდებაც, მათ წარმოჩენას ხელი შეუწყო საერთო ჯგუფურმა გამოფენებმაც.

„ცისფერი მხედარი“ — თავდაპირველად ესენი იყვნენ ვასილ კანდინსკი და ფრანც მარკი, ორივე იყვნენ ინიციატორები და პასუხიმსგებელი გამომცემლები ალმანახისა. მათგან აღმოცენდა არსებითი და პროგრამული ტექსტები. ავგუსტ მაკე, რომელთანაც ფრანც მარკს კონტაქტი ჰქონდა, ხელმძღვანელობდა ორ ილუსტრაციასა და ტექსტს მათთან. პაულ კლეე იყო „ხიდის“ მხატვარი, რომლისგანაც კანდინსკი ასევე იღებდა ილუსტრაციებს. საერთო ჯამში ალმანახი „ცისფერი მხედარი“ მოიცავდა 144 ილუსტრაციას.

„ცისფერი მხედარის“, როგორც ჯგუფის კანონიურ სახეს, სწორედ ეს ალმანახი წარმოადგენდა. იმპროვიზაციები მთლიანად კანდინსკისა და მარკის მიერ იყო გაკეთებული. 1935 წელს ერთ-ერთ გამოცემულ ტექსტში კანდინსკი წერდა: „სინამდვილეში არ იყო გაერთიანება, აგრეთვე არცერთი ჯგუფი, როგორც ეს ხშირად შეცდომით იწერება. მარკმა და მე ავიღეთ ის, რაც ჩვენ სწორედ გვეჩვენებოდა, რასაც ჩვენ თავისუფლად ვირჩევდით, რაც იყო ჩვენი სურვილი, გულისხმიერება. ასე გადავწყვიტეთ ჩვენ, ჩვენ „ცისფერი მხედარში“ „დიქტატორული“ მიმართულებით გვეხელმძღვანელა და ეს „დიქტატორები“ იყვნენ, რა თქმა უნდა, მე და ფრანცი.“

ეს „დიქტატორები“ იყვნენ ისინი, რომლებიც გამოფენების შინაარსს განსაზღვრავდნენ. 1911-12 წლებში ერთმანეთის მონაცვლეობით იმართება გამოფენები მიუნხენის თანჰაუზერის გალერეაში, და ხელოვნების სავაჭრო ცენტრ „გოლტცში.“ პირველი გამოფენა, რომელიც ძალიან სწრაფად და ნაჩქარევად გაკეთდა, მოიცავდა მხოლოდ სურათებს. მეორე გამოფენისთვის უკვე მზრუნველობით იყო შერჩეული ქაღალდზე შესრულებული ნამუშევრები, აკვარელი, ნახატები, გრაფიკა. კანდინსკის თხზულება „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“ უკვე იდო გაფორმებისთვის თანჰაუზერთან. ხოლო წიგნი „ცისფერი მხედარი“ გამოიცა გამოფენების შემდეგ „გოლტცში“ 1912 წელს.

თანჰაუზერის გალერეაში გამართულ გამოფენაში იყო კანპენდოკის, მაკეს, გაბრიელე მუნტერის, ძმები ბურლუკებისა და კომპოზიტორ არნოლდ შონბერგის ნამუშევრები ნაჩვენები. რასაკვირველია, იყვნენ კანდინსკი და მარკი. გრაფიკული ნამუშევრების ჩარჩოები გოლტცში საგრძნობლად დაძაბული იყო. გარდა დელაუნისა, ფრანგებიდან ეხლა უკვე იყვნენ დერაინი, ფლამინსკი, ბრანკუ და პიკასო. პაულ კლეეს, ემილ ნოლდესა და „ხიდის“ მხატვრების გვერდით იყვნენ აგრეთვე ავსტრიელი ალფრედ კუბინი, შვეიცარიიდან ჰანს არპი, რუსეთიდან გონჩაროვა, ლარიონოვი და მალევიჩი.

თვალშისაცემია, რომ იავლინსკი და მისი ცხოვრების თანამგზავრი მარიან ფონ ფერეფკინი არ მონაწილეობდნენ არცერთ გამოფენაში და არც წიგნის პუბლიკაციაში. მხოლოდ 1912 წელს ბერლინის „შტურმ“-გალერეაში ჰერვარდ ვალდენმა არა მხოლოდ კლეესა და კუბინის ნამუშევრები გამოფინა, არამედ იავლენსკისა და ფერეფკინის ნამუშევრებიც შეიტანა, იმ მიზნით, რომ კანდინსკისა და მარკის წინააღმდეგობრივი მიმართულება ნაპოვნი ყოფილიყო.

მკაცრი აზრით იავლინსკი არ ეკუთვნოდა „ცისფერ რაინდს“, თუმცა კი დაგეგმილი ალმანახის პირველწყაროში, როგორც მონაწილე, გათვალისწინებული იყო. მისი სახელი, ისევე როგორც მარიან ფონ ფერეფკინის, დიდხანს იყო მოთავსებული მოსამზადებელ ფურცელზე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კანდინსკიმ და მარკმა მას ხაზი გადაუსვეს. მიზეზი იყო მიუნხენის „ახალ მხატვრთა გაერთიანება“. იავლენკსი, რომელიც კონსერვატორულ ფრთასა და წინ გამოსულ ძალებს შორის დამაკავშირებელს ეძებდა, საბოლოოდ დიდხანს მერყეობდა, რომ ერთმნიშვნელოვნად კანდინსკის მხარეზე დამდგარიყო.

„ხიდის“ მხატვრებთან შედარებისას „ცისფერი მხედარი“ ბევრად უფრო ახლოს დგას თანამედროვე ფრანგებთან და იმავდროულად დგას მათგან ბევრად შორს. ისინი ხშირად მოგზაურობდნენ პარიზში, იქაურ განვითარებას ინტენსიურად ეცნობოდნენ, ჰქონდათ პირადი კავშირებიც. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი მათი ფრანგებთან ახლოს დგომა. მაგრამ ამავე დროს „ცისფერი მხედარი“ თავისი ხერხებითა და მისწრაფებებით გაცილებით შორს იყო ფრანგული სულისგან. ისინი შორს იყვნენ „ხიდისაგან“. „ხიდის“ მგრძნობიარობა, მისტიკური ჟღერადობა, ამ სლავებთან (კანდინსკი და იავლინსკი) გარდაიქმნა, ამას დაემატა პაულ კლეეს ღრმა სერიოზულობა, რელიგიურობა ფრანც

მარკისა, რომელსაც თავდაპირველად სურდა თეოლოგი გამხდარიყო, მაგრამ შემდეგ სწავლა შეწყვიტა, რადგან გაუჩნდა თავისი შეგრძნებების გამოსახვის სურვილი. ის ეძებდა ამისი გამოსახვის საშუალებებს ხატვაში. ისინი იყვნენ ძალიან შორს იმ მისწრაფებებისაგან, რომლებიც იმ დროს პარიზში გზას იკაფავდნენ. პირველ რიგში ასეთი მხატვრები იყვნენ რობერტ დელაუნი და მის „ორფიზმში“ ნავარაუდევი კანდინსკი, მაკე და მარკი.

კანდინსკიმ 1885 წელს მოსკოვში ფრანგი იმპრესიონისტების ერთ-ერთ გამოფენაზე ნახა მონეს „თივის ზვინი“. ეს სურათი თავისი შთაბეჭდილებით კანდინსკის იდეებში აბსტრაქციული ხელოვნების პროიცირებას აკეთებდა. მიუნხენიდან პარიზში ის ხშირად მგზავრობდა. იგი მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენებში. 1906-07 წლებში ის გაბრიელა მუნტერთან ერთად ცხოვრობს პარიზში და შემდეგ ზამთარში უკან ბრუნდება ბერლინში, ხოლო შემდეგ საბოლოოდ რჩება მიუნხენში.

იავლენსკის საფრანგეთთან შედარებით ვიწრო კონტაქტები ჰქონდა. 1903 წელს ის პარიზში და ნორმანდიაში იმყოფება. 1905 წელს მიემგზავრება ბრეტანში და პროვანსში, იმავე წელს ის აჩვენებს თავის ათ ნაწარმოებს d'Automne-ს გალერეაში პარიზში. ამ შემთხვევამ განაპირობა მისი ნაცნობობა მეტისთან. „გარეულებთან“ მეზობლობა მას არაჩვეულებრივ ინსპირაციას აძლევს. ის ამუშავებს გოგენისა და პონტავენის სკოლის, სეზანის, ვან გოგის, მატისის შთაბეჭდილებას. მატისის მიწვევით 1907 წელს ის გარკვეული დროით მუშაობს მის სახელოსნოში.

ფრანც მარკი 1903 წელს მიდის სამოგზაუროდ პარიზში და ბრეტანში. 1907 წელს პარიზში ყოფნის დროს ვან გოგი ხდება მისი დიდი „ნაცდა“.

1907 წელს ავგუსტ მაკეც მიემგზავრება პარიზში და გადის იმპრესიონისტებთან სწავლებას. 1912 წელს მიემგზავრებიან მარკი და მაკე, რომლებმაც ერთმანეთი 1910 წელს პარიზში გაიცნეს. მათი სურვილი იყო დელაუნთან შეხვედრა. შეხვედრის გარდა, ისინი მას უმეგობრდებიან და აღწევენ აგრეთვე ახლო კონტაქტს აპოლინართან. პაულ კლეე არის პირველი და დიდი ხნის მანძილზე ერთადერთი, რომელიც მხოლოდ ერთხელ, 1905 წელს, იყო პარიზში. ის ყველაზე უფრო გოიათი, მანეთი და მონეთი არის მოხიბლული. ვან გოგის სურათებს ის პირველად 1908 წელს მიუნხენის გალერეაში ნახულობს. როუსისა და დელაუნის ნაწარმოებებს ის 1911 წელს „ცისფერი მხედარის“ გამოფენაზე ეცნობა.

ნათია ბახტაძე
ხელოვნებათმცოდნე

ანონსი

ოპერა

18 მარტი
დას. 17 სთ.
დრამატული ბალეტი

19 მარტი
დას. 17 სთ.
ვ. ა. მოცარტი **„დონ ჟუანი“**

21 მარტი
ლ. მინკუსი **„დონ კიხოტი“**
დას. 17 სთ-ზე

22 მარტი
ზ. ფალიაშვილი **„დაისი“**
დას. 12 სთ-ზე

24 მარტი
ბ. კვერნაძე **„კოლხთა ასული“**
დას. 17 სთ-ზე

25 მარტი
„ჟიზელი“
დას. 17 სთ-ზე

რუსთაველის თეატრი

(დიდი დარბაზი)

21 მარტი, დას. 17 სთ-ზე
ლ. თაბუკაშვილი
„მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“

22 მარტი, დას. 17 სთ-ზე
კარლო გოცი **„ქალი გველი“**

გრიბოედოვის თეატრი

20-21-22 მარტი, დას. 17 სთ-ზე
ნ. დუმბაძე
„თეთრი ბაირაღები“

მსახიობი და ცხოვრება

ყველაფერი „ნატვრის ხით“ დაიწყო...

მსახიობი და რეჟისორი — ზაზა კოლელიშვილი, ზოდიაქოს ნიშანი თხის რქა (1957 წლის 11 იანვარი) ეს უკანასკნელი მიწის სტიქიას მიეკუთვნება და მეტაფიზიკაში ასოცირდება კონსერვატიულობასთან, მდგრადობასთან, ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები ისახავენ განსაზღვრულ მიზანს ცხოვრებაში, მოთმინებით აღწევენ მას. სიძნელეების მიუხედავად, მათ წარმატება სდევთ თან იმ სფეროებში, სადაც სხვები მარცხდებიან...

ყველაფერი „ნატვრის ხით“ დაიწყო, თენგიზ აბულაძემ და გია მატარაძემ შემთხვევით გადაიღეს ამ ფილმში...

მისი ბავშვობის ოცნება კი იყო მოქანდაკე-გრაფიკოსი გამხდარიყო. სერიოზულად ვარჯიშობდა სპორტის ამ სახეობაში, რომელსაც ზაზას სიტყვებით, „ცხვირბურთი“ ჰქვია. სწავლობდა — ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, გააგრძელა სწავლა სამსახიობოზე და შემდეგ დაამთავრა სარეჟისორო ფაკულტეტი.

ვისაც ზაზა კოლელიშვილის ნახატები არ უნახავს, ალბათ ვერ წარმოიდგენს, რომ იგი ისეთივე საინტერესო მხატვარია, როგორი პროფესიონალიც კინოხელოვნებაში...

უამრავი საინტერესო ეკრანული სახე, ხასიათი, რეჟისორი ფილმისა „გარიგება“. ეს სურათი გულით შეიყვარა მაყურებელმა.

გავბედავ და შეგახსენებთ — „გარიგების“ კინოსცენარის ავტორი, მისი მეუღლე, თავადაც პროფესიით მსახიობი, მომხიბლავი ქალბატონი ნათია გოგოჭურია. საარბრიუკენის კინოფესტივალზე პრიზი საუკეთესო სცენარისათვის სწორედ მას მიეკუთვნა.

კინოფესტივალმა, „ოქროს არწივი“, კიდევ ერთი გამარჯვება მოუპოვა ფილმს და მსახიობ ნანული სარაჯიშვილს, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

და ბოლოს: ზაზა კოლელიშვილი — ხუთი შვილის მამა და ჯერჯერობით ერთი შვილიშვილის ახალგაზრდა ბაბუაა. მერვე თაობის მსახიობთა ოჯახის წარმომადგენელი. ლამაზი, ტრადიციული ქართული ოჯახით.

— ბატონო ზაზა, რაზე მუშაობთ ამჟამად და გაქვთ თუ არა თავისუფალი დრო?

— დაწყებული მაქვს ორი ფილმი; უამრავი გეგმა, ჩანაფიქრი აუსრულებელი ოცნებასავით მიჰქრის... არ შემიძლია, არ აღვნიშნო და გავიხსენო „გარიგების“ გადამღები ჯგუფის დიდი ენთუზიაზმი გადასაღებ მოედანზე, ორ-სამ ფილმზე თუ ყოფილა მუშაობის ასეთი სურვილი ჯგუფში. საქმის სიყვარული ამჟამადაც არ გვაკლია, მაგრამ... ფული არა გვაქვს, რომ ეს ფილმები დავასრულოთ... ფული არა მარტო ფუფუნების საშუალებაა — საჭიროა, რათა ყოველ შემთხვევაში, ის საქმე გავაკეთო, რასაც ჩემი ჰქვია.

ქართულ კინემატოგრაფიაში ჯერ კიდევ მრავლად არის დარჩენილი გასახსნელი ისეთი ხასიათები, რასაც საქართველო თავის საკუთარ ადგილს მიუჩენდა მსოფლიო კინემატოგრაფიაში.

თავისუფალი დრო, მიუხედავად უმუშევრობისა, არ მაქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ის პროფესია, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, თითქმის დაუცველია. ვიფიქრეთ და შევქმენით საქველმოქმედო ფონდი „მსახიობები საზღვრებს გარეშე“.

ევროპაში არსებობს ასეთი სახის რამოდენიმე ფონდი, ვინც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ამჟამად მიდის მოლაპარაკება. „ერთი თხილის გული -ცხრა ძმამ გაიყოს“ პრინციპი — კარგია, მაგრამ როდემდე გვეყოფა?! ჩვენი ხალხი გაჭირვებულია, ასევე ჩემი პროფესიის ადამიანები.

„მსახიობი საზღვრებს გარეშე“ ფონდის მიზანი ასეთია:

ძვირფასო ბატონებო! (ქალბატონებო!)

მოგმართავთ თქვენ იმიტომ, რომ გვჯერა თქვენი გულისხმიერების!

საქველმოქმედო ფონდი „მსახიობები საზღვრებს გარეშე“ ახლახანს დაფუძნდა, მისი ძირითადი მიზანია, მატერიალურად და ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანების, პენსიონერების, მაწანწალა ბავშვების, მარტოხელა დედების და მრავალშვილიანი ოჯახების, ობლების, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვადასხვა მიზეზით დაინვალიდებულთა დახმარების გაწევა. გგაკვირვებთ და ასეთები მრავლად არიან იმ ადამიანთა შორისაც, რომლებიც ოდესღაც სცენიდან თუ ეკრანიდან ტკივილსა და სიხარულს გვიზიარებდნენ. დღეს ბევრ მათგანს უჭირს და მათი მდგომარეობა უფრო საყურადღებოა იმით, რომ ამ „კასტის“ ადამიანებს შიმშილისა და სიცივის ატანა ჩუმად, წუწუნის გარეშე შეუძლიათ.

ჩვენ გვაქვს მრავალი პროექტი, რომლის ამუშავების შემდეგ, ვფიქრობთ, რომ ფონდს ბევრი კეთილი საქმის კეთება შეუძლია. მანამდე კი, სანამ მოვძლიერდებით, იმედი გვაქვს, ამოგვიდგებით მხარში და შეძლებისდაგვარად დაეხმარებით საქველმოქმედო ფონდს:

„მსახიობები საზღვრებს გარეშე“.

წინასწარ გიხდით მადლობას და გვჯერა, სწორედ თქვენ ხართ ის, ვინც ჩვენს მოლოდინს გაამართლებს.

ჩვენი ანგარიშის ნომერია:
ანგ. № 100700976
სს „საქართველოს ბანკის“ ვაკის ფილიალი
მფო 521738 კოდი: 220101503
საკორესპონდენტო ანგ. № 500168703

ჩემთვის ჯერ მოყვასის სიყვარულია მთავარი, მერე ყველაფერი სხვა დანარჩენი.

— თქვენმა „მურტალომ“ თავისებური სიყვარულით იცხოვრა; ამიტომ გავბედავ და გკითხავთ, როგორია ნამდვილი სიყვარული?

— ჩემთვის — მე რომ მაქვს ისეთი!

— როგორი უნდა იყოს ქალი, თქვენ რომ მოგეწონოთ?

— ყველა ლამაზი ქალი მომწონს, ქალი ისეთი, თვალს რომ მოგტაცებს.

ჩემთვის ჩემი ცოლისნაირი!

— ძვირად ხომ არ უჯდება მეუღლეს თქვენი პოპულარობა, ისე კი, მართლაც ერთგული ქმარივით ლაპარაკობთ...

— არ მიყვარს სხვის ეზოში სტუმრობა! სხვა მხრივ კი, სასიკეთოდ მიტრიალდება ხოლმე პოპულარობა. საქართველოში ხომ უამრავი კეთილი ადამიანი ცხოვრობს. თუმცა ვალი მაინც მაქვს...

ერთმანეთის სიყვარული გვასულდგმულებს. ოჯახში ყოფნა ჩემთვის აუცილებელია.

გწამთ თუ არა ბედისწერის?

— ბედისაც მწამს და ბედისწერისაც.

— რა გაკვირვებთ დღესდღეობით ყველაზე მეტად?

— მაკვირვებს ყოველი დღის გათენება, მზის ამოსვლა, ცისარტყელას სილამაზე... მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში რომ უამრავი კეთილი ადამიანი ცხოვრობს და იუმორის გრძნობა არ მომკვდარა ჩვენში.

ხელოვან ხალხს, ალბათ ყველაზე უფრო მეტად სჭირდებათ მატერიალური მხარდაჭერა. ჩვენს საქმეს — დილეტანტები არ უნდა განაგებდნენ.

**— თქვენ ამბობ, „ბედისწერა“ ერთ-ერთ ინტერვიუში, ადამიანს ბედი ბავშვობაში ეწერებოდა, ეს ბედი ბავშვობაში ეტყვის ადამიანს, ეს ბედი ბავშვობაში ეტყვის ადამიანს, ეს ბედი ბავშვობაში ეტყვის ადამიანს

რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და სომხები საქართველოში

მერვე გვერდიდან

გერცენშტეინმა კალენდარში დაბეჭდა 1900 წლის აღწერის მონაცემები, რომელიც ისე უკულმართად იყო შედგენილი, უარესად რომ ვერავინ მოახერხებდა. საქართველო დაყოფილი იყო „ერებად" ქართველი (გულისხმობდა ქართლ-კახეთის მოსახლეობას), მეგრელი, ფშაველი, იმერელი, თუში, ხევსური და სხვა. აღმოჩნდა, რომ თბილისში 60 ათასი სომეხი ყოფილს, ქართველი კი 39398. მათი რაოდენობა — წერდა კალენდარი — უფრო ნაკლებია არა თუ სომხებზე, არამედ ლეკებზე, ოსებზე, აისორებზე და სხვ. ხალხზე. მაშასადამე ქართველობა ერის დონეზე ვერ ასულა, თემის დონეზე დარჩენილა და მისი ენა რად უნდა ვისწავლოთო. (რუსეთის პოლიტიკის ხელშემწყობი განცხადება).

1896-97 წლებში ოსმალეთიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ სომეხთა რაოდენობამ 70000-ს გადააჭარბა. 120 ოჯახამდე გადმოხვეწილი ხალხი საცხოვრებლად ყარსში გაგზავნეს, რამდენიმე ათეული ოჯახი დააბინავეს სოღანაღში. „ისე გემი არ მოვა ბათუმიდან სოხუმში და სოჩაში, რომ აუარებელი სომეხი არ მოიყვანოსო" — წერდა გაზ. „ცნობის ფურცელი". ლტოლვილნი თავს აფარებდნენ იმ სომხების ოჯახებს, რომლებიც 90-იან წლებში გადმოესახლნენ სოხუმის ოლქში, იჯარით აიღეს მიწები და მეთუთუნეობა დაიწყეს. ერთი სტყვით, ლტოლვილები ნაწილდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე იქ, სადაც მოისურვებდნენ. დახმარებას რუსეთის მთავრობისგან გულუხვად იღებდნენ: ფულს, ტანსაცმელს, სამედიცინო მომსახურებას, საკვებს და სხვა მრავალს.

სოღანაღში დაარსდა დამხმარე კომიტეტი ლტოლვილთათვის. 1897 წელს ქალაქის ხმოსანმა დ. როტინომა ქალაქის თავს განცხადება მისცა: „მოსკოვის მსგავსად თქვენც მიიღეთ შემოწირულება და ხელი გაუმართეთ გადმოხვეწილებს... გაჭირვებულები არიან და ჭირიანობის დროს საშიში იქნებიან მთელი ქვეყნისთვისო".

თბილისის გუბერნატორმა დაუყოვნებლივ შექმნა კომიტეტი (რეიტერის, ანანოვის, მანთაშევის, ბოქაულ ლოლაძის შემადგენლობით), მოაწყო თათბირი, მოიწვია რუსული და სომხური გაზეთების რედაქტორები, საპატიო წევრები — ცნობილი მსხვილი მრეწველები: თამამშევი, ალიხანოვი, ნავასარდიანცი, შადინოვი, ევანგულოვი. გამოითქვა აზრი, იმ 3000 დეპორტირებულთათვის, ვისი დახმარებაც განზრახული ჰქონდათ, მიეცათ რკინიგზაზე მუდმივი სამუშაო. ამ აზრის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა ვ. ველიჩკო და ქართველთა სასარგებლოდ დაასაბუთა კიდეც თავისი მოსაზრება... კომიტეტის წევრებს დიდად ეუცხოვათ ვ. ველიჩკოს პოზიცია, მაგრამ საკითხი საკამათოდ არ გაუხდიათ („ცნ. ფურცელი", 1897, 119).

მალე გამოირკვა, რომ 1896-97 წლებში სომხების გადმოსახლების მიზეზი იყო რუსეთიდან ოსმალეთში ჩასული პატრიოტი ახალგაზრდები, რომელთა აგიტაციამ „ნაიტყუსლა" სომხობა და „სამოთხე" (ლტოლვილთა განცხადებით) დაუკარგვინა მათ. „ახლა კი ჭირში ამოვყავით თავიო" — ამბობდნენ გადმოსახლებულები. გავიდა ხანი და თბილისის გუბერნატორმა ზევიდან ბრძანებით მოინდომა რუსეთის ქვეშევრდომობაზე დაეფიცებინა სომხები და სის შედგენა სცადა, ნახევარი თვის ზრუნვის შედეგად აღმოჩნდა მხოლოდ ერთი მსურველი, დანარჩენმა ლტოლვილებმა 1000-მდე კაცმა არ ისურვა რუსეთის ქვეშევრდომობა და დაბრუნდა მშობლიურ ადგილებში („ცნ. ფურც", 1902, 1892). 1898 წელს მთავრობამ გამოსცა კანონი უმაღლესად დამტკიცებული ხელმწიფე-იმპერატორისაგან: რომლის საფუძველზე რუსეთის ქვეშევრდომობის არმსურველი სომხები საბაჟო წესების გვერდის ავლით დაბრუნებულიყვნენ ოსმალეთში. მთავარმართებელს უფლება ეძლეოდა ერთი წლის მანძილზე საქართველოდან გაესახლებინა ყველა ის, ვინც არ ისარგებლებდა ზემოთ აღნიშნული პირობით. მთავარმმართებელი ვალდებული იყო შეწირული და მოგროვილი თანხიდან მიეცა დახმარება ღარიბ ნამსვლელთათვის („ივერია", 1898, 539).

ამავე ბრძანების საფუძველზე 1904 წელს სოხუმის ოლქს თავშეფარებული ოსმალეთის სომხები — 1700 კაცი უმაღლესი მთავრობის განკარგულებით უკან გააბრუნეს.

ადრე გადმოსახლებულ სომხებს მოქალაქეობისადმი არავითარი მისწრაფება და სურვილი არ ჰქონიათ, მაგრამ როცა ეს თვისება უკვე გამომჟღავნეს, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ფრიად შეაშფოთა ამ ამბავმა. „სომხის შემოსევას დიდად უნდა დავუფიქრდეთ — წერდა „ივერია" — თვალწინ უნდა გვედგას ის განსაცდელი, რომელიც მოელის ჩვენ ქვეყანას ჩვენი მამულების არაქართველთა, მეტადრე სომხის ხელში გადასვლით. მელიქიშვილთა, ბარათაშვილთა და ორბელიანთა სამკვიდრებელი მალე ჰაიასტანად გამოცხადდება („ივერია", 1901, 188). ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ იყო უბრალოდ თქმული... იგი წინასწარმეტყველური გაფრთხილება გახლდათ.

სომხების აღზევება სულ აღმავალი გზით მიდიოდა. რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით და თანაგრძნობით გათამამებულნი და წელში გამართულნი აღარავის ინდობენ, კონფლიქტებს აწყობენ, ქართველთა ეკლესიებს ეპატრონებიან, მთავრობას უყენებენ პრეტენზიებს დამატებითი მიწების გამოყოფაზე... ერთი სიტყვით, უპირისპირდებიან ქართველებს უფლებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად და, მერე სად? საქართველოში. სოციფედერალისტთა პარტიამ სცადა გამოსავალი მოეძებნა ამ თითქმის უიმედო მძიმე მდგომარეობიდან. ეროვნულ სასიცოცხლო ძარღვს გაფრთხილება და შემაგრება სჭირდებოდა. ბრძოლა იყო საჭირო, ასე უხეშად შელახული ერის კუთვნილი თავისუფლების დასაცავად. შეადგინეს მრავალი პუნქტისაგან შემდგარი პეტიცია და დაბეჭდეს გაზ „ცნ. ფურცელში". ფედერალისტებმა მოითხოვეს პირველ რიგში ის, რომ: 1) „საჭიროა განსაკუთრებული კანონები, რომლებიც უნდა გამოცემულ იქნან ქართველების ეროვნული არსებობის და განვითარების უზრუნველსაყოფად. 2) საქართველოს არე-მარეში მყოფი თავისუფალი ადგილები უნდა ეძლეოდეს დასასახლებლად საქართველოს უმამულო და მცირემამულიან მკვიდრებს..." 3) სწავლა ყველა სასწავლებელში ქართულ ენაზე მოლაპარაკე მკვიდრთათვის — ქართულ ენაზე. 4) მოხელეებად საქართველოში ინიშნებოდნენ უპირატესად ადგილობრივი მკვიდრნი. 5) საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში მონაწილეობდეს საეკლესიო კრება, როგორც ეს იყო ძველად და საქართველოს ეკლესიის მთავარეპისკოპოსსაც ირჩევდეს ეს კრება და სხვა სამართლიანი მოთხოვნები. („ცნ. ფურცელი", 1905, 2764).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სომხებმა იმავე წელს „ცნ. ფურც". № 2803-ში, სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, საპასუხო „ამიერკავკასიის სომეხთა პეტიცია" დაბეჭდეს, რომელშიაც ქართველთა მოთხოვნებიდან უმრავლესობა გაიმეორეს თავიანთი უპირატესობის დამადასტურებელი ნიუანსებით.

ეთნოგრაფიულად აჭრელებული და ეროვნულად დარღვევის კარამდე მისული საქართველო პოლიტიკური მოძრაობის მხრივ უკვე აღარ იყო სანში. რუსეთისათვის. რუსეთის მთავრობას სომხები მიაჩნდა ხალხად ყოველგვარი პოლიტიკოსობის გარეშე, ამიტომ ენდობოდა მათ, აწინაურებდა პრესტიჟულ თანამდებობებზე დიდ მოხელეებად დასწამდა რა, მათი ერთგულებისა, იყენებდა ქართველების საწინააღმდეგოდ. კანანოვის პროექტის გათვალისწინებით იქნა შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიაზე გადმოსახლებული ზეითუნის სომხები, გერმანელთა ერთი ჯგუფი, ესტონელები და სხვ. ამ პროექტის განმხორციელებელი იყო ივ. ხატისოვი, რომელიც 30 წლის მანძილზე საპატიო თანამდებობაზე მუშაობდა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხატისოვმა ფიზიკურად გადაარჩინა სომხები და თავისი შავ-ბნელი ჩანაფიქრის განხორციელებას შეუდგა". მისი მიზანი იყო სომხებით დასახლებული ვრცელი ტერიტორია სასომხეთის კუთვნილებად ექცია. ამას გვიან მიხვდნენ რუსი პოლიტიკოსები, მაგრამ რაღას იზამდნენ. რუსების დასასახლებლად შავი ზღვის სანაპიროზე ადგილები თითქმის აღარ დარჩა.

ეს უკვე 1910-იანი წლებია, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, ისიც, რომ სომეხმა „ხატისოვებმა" „გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დახმარებით წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიიდან გამოყოფის და გუმბრთან შეერთების შესახებ, რომ ამ გზით გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნია შეექმნათ" (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, გვ. 42-43. წგნ.: ი. ჯავახიშვილი და სხვ. ისტორიული რარიტეტები, 1989). მაშასადამე, საქართველოს ტერიტორიის ნაწილი სომხების კუთვნილებად უნდა გამხდარიყო.

კიდევ კარგი, რომ ბორჩალოს სამაზრო კომისიამ და ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ საფუძვლიანი და ობიექტურად არსებული ვერდასაძლევი სერიოზული მიზეზის გამო უარყო ეს გეგმა-პროექტი.

საქართველოს ტერიტორიის მითვისების სურვილს შემდგომ წლებშიაც არ მალავდა საქართველოში მცხოვრები სომხის პლუტოკრატია, იბრძოდა კიდეც ამისთვის, ბევრი უსიამოვნებაც მიაყენა ქართველებს, მაგრამ... მაშინ სხვა დრო იყო, ახლა!..

დამფიქრებელი და ანგარიშგასანევია ვან ბაიბურთის სიტყვები, რომელიც მან წარმოსთქვა ქართველ ჟურნალისტთან ინტერვიუს დროს „ნუ დაელაპარაკებით მათ (ჯავახელ სომხებს — მ.გ.) რუსულად და ისინი იძულებულნი იქნებიან ისწავლონ ქართული ენა.." სრული სიმართლეა! იქნებ ჩვენ ჯეროვნად ვერ ვაფასებთ მოვლენებს?... არაფერში ვცდებით, არაფერი გვეშლება?

მაყვალა გაჩეჩილაძე

«გაათრიეთ უფულო მკვდარი» ანუ რა მოგვიტანა ჯანდაცვის რეფორმამ



ამ რამდენიმე წლის წინათ დაწყებული რეფორმა ჯანდაცვის სფეროსაც შეეხო. რეფორმის მიმდინარეობის ამ ეტაპზე უკვე ასე თუ ისე გამოიკვეთა მისი დადებითი მხარეები, რომელსაც ბუნებრივია, ერთვის უარყოფითიც.

არც ისაა გასაკვირი, რომ გახშირდა ექიმების მხრიდან ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების ფაქტები მხოლოდ იმ მოტივით, რომ ოჯახი გადახდისუუნაროა. როგორც ყველაფერი ამორალური, ესეც მიუღებლად მიგვაჩნია. უფრო მეტიც, მსგავსი შემთხვევები გამოაშკარავებული უნდა იქნეს და ყველას საკადრისი უნდა მიეზღოს. ჩვენი წერილის მიზანიც ეს გახლავთ.

ყველაფერი იქედან დაიწყო, რომ რედაქციაში ლანჩხუთის რაიონიდან მოქალაქის წერილი შემოვიდა. ჩვენ კი, როგორც ყოველთვის, არც ახლა დავრჩენილვართ გულგრილნი და გადავწყვიტეთ საქმის არსი ადგილზე შეგვესწავლა, რისთვისაც როგორც დაზარალებულის, ასევე მეორე მხარის ხელთ არსებული ინფორმაციების გაცნობა მოგვიხდა, რათა ვინმეს ტენდენციურობა არ დაეწამებინა.

როგორც დაზარალებულის ოჯახში გვითხრეს, 1998 წლის 20 იანვარს, აწ განსვენებული გივი ჩხაიძე ავად გამხდარა. პირველადი სამედიცინო დახმარების მიზნით ქ. ფოთის ცენტრალური საავადმყოფოსათვის მიუმართავთ. მისაღებში საავადმყოფოს მთავარი ექიმი, გოგი მელიქა დახვედრიათ. ოჯახის წევრების თხოვნა, აღმოეჩინათ გივი ჩხაიძისათვის სამედიცინო დახმარება, უგულვებელუყვიათ. უფრო მეტიც, ისეთი პასუხი გაუციათ მათ თხოვნაზე, რომ ალბათ სასაფლაოს დირექტორსაც არ შეშვენის, არათუ პროფესიონალ ექიმს. „გაეთრიეთ, უფულო მკვდარი არ მესაჭიროებაო". ალბათ ასეთი სიტყვები იგივე შემთხვევაში ნებისმიერ თქვენთაგანს გაგაკვირვებდათ და რა გასაკვირია ოჯახის წევრების აღელვება. ბატონ გოგის ტონი მხოლოდ მაშინ შეუცვლია, როცა ოჯახის წევრებს ფული დაუნახებიათ.

ექიმ მელიქიას დაჟინებული თხოვნის შესაბამისად, ავადმყოფი ქუთაისის ცენტრალურ საავადმყოფოში უნდა გადაეყვანათ. ახლობლების თხოვნა სასწრაფო დახმარების მანქანა თუ არა, ექთანი მაინც გამაყოლეთო, ყურადაც არ უღიათ (?!). მეტი რაღა დარჩენოდათ, საკუთარ თავზე აუღიათ ავადმყოფის გადაყვანა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ქალაქ ფოთიდან გამოსვლის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესებულა, რადგან რამდენიმე საათის განმავლობაში დახმარების გარეშე მყოფ ადამიანს, სიკვდილთან ბრძოლა აღარ ძალუძდა. ამის შემდეგ სუფსის ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტისათვის მიუმართავთ. უცხოელ ექიმებს მზრუნველობა და ყურადღება არ მოუკლიათ ავადმყოფისათვის, განსხვავებით ამ ქართველი კოლეგებისაგან, რომლებმაც უგულველყვეს პროფესიული მოვალეობა და ფეხქვეშ გათელეს სინდისი და მორალი.

უფასოდ, საკუთარი მედიკამენტებითა და აპარატურებით მთელი პერსონალი ცდილობდა თურმე სიკვდილის დამარცხებას. ცოტა ხანი და ექიმები გამარჯვებას ულოცავდნენ ერთმანეთს. აუცილებელი გახდა პროფესორის ჩამოყვანა. ეს უკანასკნელიც უპირველესად ოჯახის ფინანსური მდგომარეობით დაინტერესებულა და შესაძლო ხელის მოთბობის იმედით სუფსაში ჩამობრძანებულა. მისივე დაჟინებული მოთხოვნით ავადმყოფი ისევ ფოთის საავადმყოფოში გადაუყვანიათ, რისი წინააღმდეგი ინგლისელი ექიმები თავიდანვე ყოფილან, მაგრამ რადგან ფოთის საავადმყოფო უფრო ახლოს იყო, ავადმყოფი ისევ იქ მიუყვანიათ. იგი რეანიმაციულ განყოფილებაში მოუთავსებიათ. ბატონ გოგის ავადმყოფის შვილი კაბინეტში გაუხმია და უთქვამს: „რად გინდოდა ინგლისელებთან ავადმყოფის მიყვანა, როდის იყო ისინი ხალხს მკურნალობდნენ, ისინი ხომ ხალხის სასიკეთოდ არიან ჩამოსულნო". მეორე დღესაც იგივე უპასუხისმგებლობა იყო გამეფებული ფოთის ცენტრალურ საავადმყოფოში. ისევ მიუმართავთ დახმარების თხოვნით მთავარ ექიმისათვის. „მე რა გიყოთ, აგერ ხართ შენ და შენი ინგლისელები და უპატრონეთო" (სტენი დაცულია). ასეი პასუხი მიუღიათ ექიმ. მედპრსონალი უპასუხისმგებლობისაგან ავადმყოფი გარდაიცვალა, როცა მისი გადარჩენა ადვილი შესაძლებელი იყო (ამას თვით ექიმებიც არ უარყოფენ).

ვფიქრობთ, მომხდარი კომენტარსაც არ საჭიროებს, რადგან კალამს ყოველთვის როდი ძალუძს აღწეროს ის მწარე განცდები, რომელიც ადამიანს ეუფლება ხოლმე ასეთ დროს. მითუმეტეს, როდესაც ყოველივე ამის შემდეგ ექიმი თამამადად გამოვა და იტყვის: სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ უმოქმედობას და დახმარების აღმოუჩენლობას ადგილი არ ჰქონიაო.

სად არის ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგულება, სინდის-ნამუსი? კანონებს რომ თავი დავანებოთ, ადამიანობას, ზნეობასა და მორალს რა ვუყოთ?

ასეთია მწარე სინამდვილე და რაოდენ დასანანია, რომ უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლე ვალაცის დაუდევრობასა და კაპრიზებს შეეწირა.

კოგა კაპანაძე

P.S. გაზეთ „საქართველოს" რედაქცია შემდეგშიც გააგრძელებს მოქალაქეთა წერილების განხილვას, მსგავსი შემთხვევების გადამოწმებასა და სააშკარაოზე გამოტანას.

ახალი ამბები

პანტელეიმონ გიორგაძე „კარგად დადგმულ სცენას" უწოდებს

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერმა, პანტელეიმონ გიორგაძემ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხთან ენგურის ხიდზე სმაკ-ის ინიციატივით დაწყებულ საპროტესტო აქციას „კარგად დადგმული სცენა უწოდა.

„ეს სპექტაკლი ისევე სანქციონირებულია შევარდნაძის მიერ, როგორც ლარსში — უთხრა გიორგაძემ გეა-ს კორესპონდენტს.

მისი თქმით, მთავრობა მათ კარგ ფულს უხდის, ამიტომ ხელისუფლების პარტიას აქვს საშუალება, გაემგზავროს იქით, საითაც მოესურვება. „მე არ გამიკვირდება, თუ ხვალ სმკ საპროტესტო აქციის გასამართავად ახალქალაქში ან კიდევ სხვაგან გაემგზავრება - თქვა გიორგაძემ.

პანტელეიმონ გიორგაძე ამ აქციას არჩევნების წინ ქულების დაგროვებად თვლის.

შესაძლოა საგუშაგო აფხაზეთისკენ გადაინიოს

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ენგურის ხიდთან გრძელდება საპროტესტო აქცია, რომლის ორგანიზატორებიც არიან სმკ-ის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაცია და საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციები. როგორც დღეს სმკ-ის წევრს, პარლამენტარ დავით ტყეშელაშვილს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული კოლექტიური სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა, ნიკოლაი სურიადნმ განუცხადა, თუ რუს სამხედროებს, რომლებიც ქართულ მხარეს არიან განლაგებული, არ ექნებათ საშუალება ზუგდიდის რაიონიდან მიიღონ მომარაგება, ამ შემთხვევაში ისინი იძულებულნი გახდებიან თავიანთი საგუშაგო აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაიტანონ.

რუსი სამხედროები ქართველ ენერგეტიკოსებს დახმარებას პირდებიან

16 მარტს დაზიანდა 500 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი", რომლის აღსადგენად საჭიროა ასაფეთქებელი სამუშაოების ჩატარება. - აცნობა ზუგდიდიდან გეა-ს კორესპონდენტს პარლამენტარმა დავით ტყეშელაშვილმა.

აფხაზეთის კონფლიქტიის ზონაში განლაგებული კოლექტიური სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლაი სურიადნი და ქართველი ენერგეტიკოსები შეთანხმდნენ, რომ რუსი სამხედროები დაეხმარებიან მათ აღდგენით სამუშაოებში.

Doka pizza

Doka pizza

94-07-00

სოსისით	2-00
ქათმის ხორცით	2-50
ვიჩინით	2-50
სოკოთი	2-50
ვიჩინით და სოკოთი	3-00

ადგილზე მიტანა 2-00

ჩაინ ვორდი

1-3. ქალაქი, რომელშიც რეპრესირებული მწერალი ლევან გოთუა გადაასახლეს სასჯელის მოსახდელად; 2-4. ხის ჭურჭელი; 4-6. ქართული ლიტურგიკული კრებული; 5-8. ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლი, რომელზეც გაშენებულია მრავალი კურორტი; 7-10. ირანის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 9-11. კოტე მახარაძის სცენური სახე; 11-12. ქართული (მეგრული) ხალხური ცეკვა; 12-14. გერმანიის იმპერიალიზმის მიერ გატარებული პოლიტიკა ავსტრიის დაპყრობისათვის I მსოფლიო ომის შემდეგ; 13-15. აღმოსავლეთ აფრიკაში გავრცელებული ხეფიკუსის გვარისა; 15-16. მოქალაქეობის ამორჩევა; 16-17. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა; 17-18. ნაცვალსახელი; 18-19. კომუნისტური რუმინეთის საიდუმლო პოლიტიკური პოლიცია; 19-21. პერსონაჟი ქართული ფილმისა „ლეონის ჭურჭელი“. 20-23. ფრანგი მწერალი ქალი, ავტორი რომანისა „ძალიან მშვიდი სიკვდილი“; 22-25. ცნობილი გერმანელი მათემატიკოსი; 24-27. ჯ. გარიბალდის სამშობლო; 26-28. ავტორი სიმღერებისა „გამოლმით შენ ხარ“ და „მუხამბაზი“; 28-29. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე; 29-31. ემიგრანტი ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი; 30-33. თანამედროვე ორჭიდი სათხილამურო სპორტში; 32-35. ორივე ბოლოზე ხრახნის მქონე ლითონის მილაკი; 34-37. ჰიტლერის პირადი მსახური; 36-38. პერსონაჟი ქართული ფილმისა „ლონდრე“.

რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო განცხადებებს.

რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.

ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის **უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

ჰოროსკოპი — მისანი

ატარეთ თქვენი ავგაროზი

მერწყული (21. 01. — 18. 02)
ავეთვისტოს თუ ბალიშისქვეშ ამოიდებთ, უემური სიზმარი აგცდებათ. იგი კურნავს უნაყოფობას. ანვითარებს ინტუიციას, დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე დიაბეტის, ეპილეფსიის დაავადებისას, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას, თავის გამუდმებული ტკივილისას.

თევზები (19. 02. — 20. 03)
აკვამარინი — ოჯახური მყუდროების დამცველიც არის, ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობის დამკვიდრებას. ძველად მიაჩნდათ, რომ აკვამარინს ძალუძს განკურნოს ყელისა და კბილების დაავადება. ამიტომ რეკომენდებული იყო ვერცხლში ჩასმული ქვის ყელსაბამად ტარება.

ვერძი (21. 03. — 20. 04)
ალმასი მეფური ქვაა, ხელს უწყობს სულიერ განვითარებას, მეხსიერების განმტკიცებას, შეგიქმნით კარგ განწყობილებას, აგიმაღლებთ ტონუსს და გაგახალისებთ, უკეთურ ადამიანს კი, პირქუთ, ხიფათს გადაჰკიდებს.

კურო (21. 04. — 26. 05)
ზურმუხტი მოგიტანთ ბედნიერებასა და სიხარულს. გადაგარჩენთ წყალში დაღუპვისაგან, შხამიანი გველის კბენისაგან. ზურმუხტის მფლობელს გაეხსნება განჭვრეტის ნიჭი, იდუმალ ფიქრებში შეღწევის ძალა.

ტყუბები (22. 05. — 21. 06)
მარგალიტს მოაქვს ჯანმრთელობა, გიცავთ ჯადოსაგან, განიჭებთ მომავლის შეგრძნების უნარს. მარგალიტსთვლიანი ბეჭედი დაგიცავთ მტრების ზრიკებისაგან.

კირჩხიები (22. 06. — 22. 07)
ზნეობრივ ადამიანს **ლალს** საგმირო საქმეებისაკენ წარმართავს, იფარავს თვალისაგან, ახალისებს მეხსიერებას, უნერგავს სიმხნევეს, გამბედაობას, ეს ქვა მის პატრონს ნაღველს გაუქარვებს, განწყობილებას გამოუკეთებს.

ლომი (23. 07. — 23. 08)
ასტროლოგები ძალიან აფასებდნენ **ძრიზოლითს**. ნათელმხილველობის უნარს ანიჭებდნენ. ამბობენ, რომ ქრიზოლითი ამაგრებს გულსისხლძარღვთა სისტემას, აუმჯობესებს მხედველობას, პკურნავს ენაბლუობას.

ქალწული (24. 08. — 23. 09)
საფირონისთვლიან სამაჯურსა და ბეჭედს მარცხენა ხელზე იკეთებენ, მას დიდი განმკურნავი ძალა გააჩნია. არეგულირებს სისხლის ნნევას, საჭმლის მონელების პროცესებს, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციას, კეთილისმყოფლად მოქმედებს გულსა და ღვიძლზე, თვალის დაავადებებზე.

სასწორი (24. 09. — 23. 10)
ოპალის ფერადოვნებამ და ცვალებადობამ ეტყობა წარმოშვა ის ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები, რასაც მას მიაწერენ. თვითონ განსაჯეთ, ეს ქვა ჭირვეულობის და მოღალატეობის სიმბოლოა. ეშინია სიცხის და სიშრალის. არამდგრადი ბუნების ადამიანებს არ ურჩევენ ამ ქვის ტარებას, მათ კი, ვისაც სუფთა ფიქრები ამოძრავებთ, უზრუნველყოფილი აქვთ საქმეში წარმატება.

ღრიანკალი (24. 10. — 22. 11)
მიაჩნიათ, რომ **ტოპაზის** ქვა მის მფლობელს ათავისუფლებს ბოროტებისაგან, გულისწყრომისაგან, უქმნის კარგ განწყობას, განარიდებს სიცრუეს. თუ ტოპაზის ქვებით ასხმულ მძივს ატარებთ, შეგიმსუბუქდებათ ასთმის შეტევები.

მშვილდოსანი (23. 11. — 21. 12)
ფირუზს ძალუძს მოგანიჭოთ დამოუკიდებლობა, გადაგარჩინოთ ბრძოლის ველზე სიკვდილისაგან, გაზიარებთ მშვიდობასა და თქვენს სახლს ხვავსა და ბარაქას არ გამოელევა.

თხის რქა (22. 12. — 20. 01)
გადმოცემის თანახმად, **ძონი** ფლობს უზარმაზარ იდუმალ ძალას — სულს ახარებს, გინერგავთ სიხალისეს, ოპტიმიზმს, გაძლევთ სხვა ადამიანზე გაბატონების ძალას. ატარეთ ძონის მძივი ან აგგაროზი და უზრუნველყოფილი გექნებათ მეგობართა კეთილგანწყობა და ერთგულება.

ბანცხადებები

ვარ მაღალკვალიფიციური ელექტრიკოსი. იაფად და ხარისხიანად ვაკეთებ სხვადასხვა ელექტროგაყვანილობებს და ოჯახურ ტექნიკას. ტელ: 98-33-59 რუდიკა

ვყიდი ოცდახუთვატიან დინამიკებს, ფასი 60 ლარი, ჩეხურ აკუსტიკურ გიტარას ფასი 80 ლარი. ტელ: 39-39-92

ვყიდი ფერად ტელევიზორს „ჰორიზონტს“ მუშა მდგომარეობაში, ფასი 60 ლარი. ტელ: 39-39-92

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯით, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, I სართული. მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან. (რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანზე) ფასი 22000 დოლარი ტ: 37-23-78.

იყიდება ისნის რაიონში სასწრაფოდ 3ოთახიანი იზოლირებული ბინა ლოჯით, მიშენებით, საერთო ფართი 95 კვმ, სარდაფით, ტელეფონით, ფასი 18000 დოლარი. მისამართი: მეტრო ისანი შირაქის ქუჩა №11 I სად, IV სართ, ბინა 8. ტელ: 74-40-50

ვასწავლი ინგლისურს კომპიუტერით, აუდიო-ვიდეო კასეტებით. მისამართი: ფურცელაძის 22 (კოლმეურნეობის მოედანი) ტელ: 93-64-01

კვალიფიციური თარგმანი. ევროპული და აღმოსავლური ენები. მისამართი: ფურცელაძის 22 ტელ: 93-64-01

ვმკურნალობ ბუასილს 100 პროცენტიანი გარანტიით. ტელ: 74-40-50

იყიდება 3-ოთახიანი ბინა სამტრედიის ქუჩაზე, მე-16 სართულზე ტ: 35-15-48

ვამზადებ ინგლისურ ენაში ინდივიდუალურად და 2-3 კაციან ჯგუფს, როგორც აბიტურიენტებს, ასევე სკოლის მოსწავლეებს, ინტენსიური კურსით, შეღავათიან ფასებში. ვთარგმნი ნებისმიერ ინფორმაციას. ტელ: 30-76-13

იყიდება ქობულეთში რუსთაველის გამზირზე 1-ოთახიანი ორად გადაკეთებული ჩეხური პროექტის ტელეფონიანი ბინა, ოთხსართულიანი ბინის მე-4 სართულზე, ალუმინის კარ-ფანჯრებით, აუცილებელი ავეჯით. საწყ. ფასი 5000 დოლარი. ტელ: 71-91-37; 99-06-96

ქირავდება კეთილმოწყობილი საოფისე ფართი 140 კვ. მეტრით, კოსტავას ქუჩაზე. ტ. 39-31-75 ირინა, დათო

იყიდება ბენზინის გასამართი 17 ტონიანი კონტეინერი, რუსეთის, 4კვ. ვატიანი გენერატორით. ტელ: 39-31-75

იყიდება ჩეხური პროექტის 4-ოთახიანი უმაღლესად გარემონტებული ბინა, დურალუმინის კარ-ფანჯრით, ჟალუზებით, სარდაფით, საშრობი ოთახით, ავტომანქანის სადგომით. ფასი 14000 დოლარი. მისამართი: დიდი დიღომი, მე-4 მიკრორაიონი მე-12 კორპუსი, მე-3 სადარბაზო, მე-7 სართული ტელ: 53-38-16 საღამოს.

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

სასიქადულო სპორტსმენს ბ-ნ ლევან თედიაშვილს შეუსრულდა 50 წელი.

ჩვენო ლევან, შეუფასებლად დიდია შენი წვლილი ქართული სპორტის ისტორიაში, მაგრამ ათასგზის უფრო მეტად დასაფასებელი ის ამაგი, რაც შენ საქართველოს ერთიანობასა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაიღე. როგორც „კაი ყმა“ ყოველთვის იქ იდექი, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა შენს სამშობლოს, იქნებოდა ეს სამაჩაბლო, თუ აფხაზეთი.

გისურვებთ ჯანმრთელობას და შენი ქვეყნის საკეთილდღეოდ დიდხანს სიცოცხლეს.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სახელით

ნოდარ ნათაძე

გიორგი თამლიანი

ძვირფასო ბიზნესმენებო!

თქვენი საქმიანობის რეკლამირებას პროფესიონალიზმი სჭირდება. გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება გაძლევთ უნიკალურ საშუალებას გქონდეთ მაღალი დონის რეკლამა.

ჩვენ დაგეხმარებით სარეკლამო გეგმის შედგენაში;

გაგიწევთ კონსულტაციას და შეგისრულებთ ნებისმიერი სახის სარეკლამო დავალებას;

ჩავატარებთ არსებული მასალის ექსპერტიზას.

დაიზღვიეთ თავი შეცდომებისაგან!

ჩვენი მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული. ტელ: 93-18-41, 93-20-36

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

მკითხველთა საყურადღებოდ!
მომავალი კვირიდან გაზეთი გამოვა სამშაბათს და პარასკევს.

ფინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ოდიში; 4. ფლორა; 8. დებარდე; 11. ტყე; 12. ოდა; 13. პიგმეი; 15. საიკოუ; 17. რიფი; 18. შალი; 20. გნოლი; 22. ლაოსი; 23. ნაურუ; 25. იკბაია; 26. არგონი; 27. ავარია; 29. ბუნება; 31. ირასუ; 32. ირემი; 34. ფაუნა; 36. რომი; 39. ტარო; 40. ასპიდი; 42. არაგვი; 44. მაა; 46. ილი; 47. ორაგული; 48. ჰანოი; 49. სერია.

შვეულად: 2. დღე; 3. შოვი; 5. ლოქო; 6. რკო; 7. ფტორი; 8. ლომი; 9. ელია; 10. კალია; 13. პითონი; 14. იუნონა; 15. ხელადა; 16. უშგული; 19. ნიკარაგუა; 21. ინდონეზია; 22. ლიგნიტი; 24. ურბნისი; 27. აპათია; 28. აფთარი; 29. ბრინზა; 30. აგენტი; 33. გრემი; 35. ტოკიო; 37. პინო; 38. ბაღი; 41. სურო; 43. ფერე; 45. აბა; 46. იუი.

მურად ალანიას ხსოვნას!

მურად, უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე — 21 მარტი და გაზაფხულიც. შვიდი წელიწადი ერთად ვხვდებოდით ამ დღეს და რა ბედნიერები ვიყავით მაშინ... რა უცნაურად ჩაქრა შენი სიცოცხლე...

ამბობენ, სული ზეცაში მაღლდებაო, შენ ხომ დროებით ჩამოსული ვარსკვლავი იყავი დედამიწაზე. შენთან ერთად მინდოდა სიცოცხლე ჩამეთავებინა, მაგრამ მსახვრალმა ხელმა თავისთან წაგიყვანა... დამრჩა ამოუცანელი სიცარიელე. როგორ ვიფიქრებდი ასე უცებ, წმინდა სანთელივით ჩაქრებოდი. ვცდილობ დარდების მორევში არ ჩავიძირო, მაგრამ გული სხვაგან არ მიშვებს. უმძიმესი ტვირთია სიცოცხლე ჩემთვის, უშენოდ! შენი სიცოცხლის ბოლო დღეს — 27 დეკემბერს, სულ სხვანაირი იყავი. შენს თვალებში სინანული, სევდა და ნაღველი შევნიშნე. ამით თითქოსდა ყველაფერი მითხარი. დამტოვე მარტო, სუნთქვაშეკრული და გაოცებული. ორმოცდამეერთე გაზაფხულს ვერ დაესწარი. მურად, შენ ჩემთვის უკვდავი ხარ. შენს დავიწყებას ვერ შევძლებ. ყოველ წამს დამდევ. სადაც მივდივარ, იქა ხარ შენც...

უსაშველოდ მენატრები...

მანანა ბერაია

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444